საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 2 ივნისი. 2017 წ. №110 (8247), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მიხეილ გიორგაძე:

სად საქართველოს სული ტრიალებს

④ დღესაც... ⑤

„პოლიტიკურმა პრობლემებმა ეკონომიკა არ უნდა დაამუსრუჭოს“

⑥

ისევ „ქართუ ბანკი“, ლაურა ღაჭავა და მთავარი პროკურატურა...

⑦

ამას წინათ ვიკითხეთ და იძულებული ვართ ისევ გავიმეოროთ: ძველებურად უნდა გვღრღნიდეს ეჭვის ჭია, რომ შეგნებულად თუ შეუგნებლად პროცესებს ისევ გავლენიანი სტრუქტურებისა და გვარების წინაშე ქვეცნობიერი შიში მართავს?!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ გიორგი კვესიტაძეს

ბატონო გიორგი,

გულითადად გილოცავთ დაბადების 75 წლისთავს. თქვენ ბრძანდებით შესანიშნავი პიროვნება, გულისხმიერი, ერთგული, სამშობლოსა და მოყვასის მოყვარული მორწმუნე ადამიანი, აღიარებული მკვლევარი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

გვინდა, აღვნიშნოთ, რომ ამ ეტაპზე მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს წარდგენა, პირველ რიგში, ხელოვნებითა და კულტურით ხდება, მაგრამ ჩვენი მომავალი თაობის ნიჭიერება იმის კარგ წინაპირობას იძლევა, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა სახელებიც შეემატოს საერთაშორისოდ აღიარებულ ცნობილ უცხოელ მკვლევართა რიცხვს.

ჩვენს მეცნიერებს, ჩვენს მკვლევარებს წარსულში უდიდესი მიღწევები აქვთ მოპოვებული და ეს ტრადიცია კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

ღმერთმა დაგლოცოთ და მოგმადლოთ თვისი შეწევნა ამ მიზნის განხორციელებასა და თქვენს მაღალ მსახურებაში.

პატივისცემით,
სრულიად
საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ირაკლი კობახიძე:

პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის ნეგატიური დღის წესრიგი ხელს ვერ შეგვიშლის

პარლამენტის **თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე არასამთავრობო სექტორის იმ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც საუბარია იმაზე, რომ კონსტიტუციური ცვლილებების სახალხო განხილვების დროს, საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების მობილიზება და მათთვის წინასწარ დაწერილი კითხვების გადაცემა ფიქსირდებოდა.**

კობახიძე აღნიშნულ შეფასებას არასერიოზულ განცხადებას უწოდებს. სპიკერის თქმით, პოლიტიკური ძალებისა და სხვადასხვა სუბიექტების მხრიდან დესტრუქციული ნაბიჯები გადაიდგა.

„სამწუხაროა, რომ ამ ყველაფერში პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია იყო ჩართული. ეს ძალიან სამწუხარო დღის წესრიგია, რომლითაც საქართველოს პრეზიდენტი მოქმედებდა. ჩვენ ჩვენი პოზიტიური დღის წესრიგი გვაქვს. ჩვენი ამოცანაა, დახვეწილი კონსტიტუცია მივიღოთ, ისეთი კონსტიტუცია, რომელიც სამართლებრივ პრინციპებთან სრულ შესაბამისობაში იქნება და რომელიც ძალიან დახვეწილი საპარლამენტო მმართველობის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. ბუნებრივია, პრეზიდენტის და მისი ადმინისტრაციის ნეგატიური დღის წესრიგი ამ ამოცანის შესრულებაში ხელს ვერ შეგვიშლის“, — აცხადებს სპიკერი.

ბავშვთა დღე ვაკის პარკში

საბავშვო ღონისძიებების ფარგლებში ვაკის პარკში ბავშვებს სხვადასხვა გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის შესაძლებლობა ჰქონდათ. მთელი დღის განმავლობაში მხიარული აქტივობების პარალელურად კონცერტი გაიმართა.

„თბილისის მერიის ახალგაზრდული სამსახური, მერიის გამგეობები ორგანიზებას უწევენ სხვადასხვა ღონისძიებებს ბავშვებისთვის. ტარდება უამრავი აქტივობა, რომელიც ბავშვებს აძლევთ საშუალებას, შეიქმნან საუკეთესო განწყობა. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ყველა ბავშვს მივულოცო დღევანდელი დღე. ჩვენი ვალია, რომ მაქსიმალური ძალისხმევა გავიღოთ იმისთვის, რომ შევუქმნათ მომავალ თაობას საუკეთესო განწყობა და პირობები. დღევანდელი დღე სწორედ ამას ემსახურება და მერია აქტიურად არის ჩართული ამ ღონისძიებების ორგანიზებაში“, — განაცხადა დედაქალაქის მერის მოადგილემ ირაკლი ლექვინაძემ.

პატარა და სუსტი ქვეყნის უბედური სტუმრები

⑧

საიათნოვა ეროვნებით აზერბაიჯანელი ყოფილაო

⑨

საბავშვო ბანაკებთან დაკავშირებით ზაფხულისთვის საინტერესო გეგმები გვაქვს

ჩვენი სახელმწიფოს ზრუნვის საგანია, ყველა ბავშვს ჰქონდეს თანაბარი პირობები განვითარებისა და მათი შესაძლებლობების რეალიზაციისთვის, — ამ სიტყვებით მიულოცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ყველა ბავშვს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, სასიხარულოა, რომ ყოველკვირეულ სპორტულ აქტივობებში ჩართულ ბავშვთა რიცხვმა მნიშვნელოვნად მოიმატა და 15 ათასს მიაღწია. ღონისძიებებს განათლებისა და მეცნიერებისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროები ერთობლივად ახორციელებენ.

„ჩვენ ასევე განვახორციელეთ ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები, რათა ზამთრის პერიოდში, ზამთრის სპორტის სახეობებში მაქსიმალურად ბევრი ბავშვი იყოს ჩართული. ამისთვის გავაკეთეთ არდადეგების მცოცავი გრაფიკი, ასევე, სახელმწიფო აფინანსებს და სუბსიდირებას უკეთებს სპორტული სკოლების ფუნქციონირებას ზამთრის პერიოდში. ზაფხულისთვის გვაქვს ძალიან საინტერესო გეგმები ბანაკებთან დაკავშირებით. ბანაკების აქტივობებში მონაწილე ბავშვების რაოდენობა ძალიან გაიზრდება და ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსიც მნიშვნელოვნად გაზრდილია“, — განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ასევე გაგრძელდება სოფლად მცირე სკოლების მხარდაჭერის პროგრამა და რეგიონებში, სკოლებთან დაშორებული სოფლებიდან ბავშვების ტრანსპორტირება, რაც მთავრობის მხრიდან ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

14 მუნიციპალიტეტს 7-მდე შევამცირებთ

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გაერთიანება ხელს შეუწყობს თვითმმართველობის რეფორმის ავტორიტეტის და წარმატების გაზრდას და არა პირიქით, როგორც ამაზე „ზოგიერთები აპელირებენ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„ბოლო პერიოდში იყო საკმაოდ ცხარე განხილვები და სპეკულაციები, რომ რამე ემუქრება თვითმმართველობას. თვითმმართველობის რეფორმა არის დინამიკური, ცოცხალი ორგანიზმი და მას სჭირდება კორექტირებები, ვინაიდან ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოიკვეთა მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომელიც ხელს უშლის თვითმმართველობის პოზიტიურ კონტექსტში წარმოჩენას და ჭეშმარიტი თვითმმართველობის განვითარებას. ეს გახლავთ 14 მუნიციპალიტეტში დაფიქსირებული პრობლემა და ჩვენ დღევანდელი ცვლილებით 14 მუნიციპალიტეტის რაოდენობას ვამცირებთ 7-მდე, რაც არამცდაარამც არ ნიშნავს ბიუჯეტის შემცირებას ამ მუნიციპალიტეტებში. ეს მუნიციპალური ბიუჯეტები გაერთიანდება. როდესაც ჩვენ ქალაქის და რაიონის მუნიციპალიტეტებს გავაერთიანებთ, ამ შემთხვევაში ავტომატურად დაჯამდება ეს ბიუჯეტი, რომელიც არსებობს ამ რაიონში თუ ქალაქში და არავითარ შემთხვევაში არ მოაკლდება არცერთი თეთრი. მეორე მიზეზი, რის გამოც ჩვენ ამას ვაკეთებთ, გახლავთ ის, რომ ელემენტარულად ამ რაიონებში იყო ორხელისუფლებიანობა, იყო უამრავი პრობლემა აღსრულების ეფექტიანობის კუთხით და ასევე, მთელ რიგ შემთხვევებში ფუნქციების დუბლირება ხდებოდა. ამ ემპირიულმა გამოცდილებამ გამოიწვია ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილების განვითარება“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, საქართველოში თვითმმართველობა აუცილებლად განვითარდება და კიდევ უფრო ჩაიშლება დაბალ მუნიციპალურ დონეებზე. პრემიერის თქმით, დარეგულირდება მუნიციპალიტეტებში აიპ-ების ოპტიმიზაციის მექანიზმი და ერთ სფეროში შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთი არასამეწარმეო იურიდიული პირის შექმნა, რათა თავიდან იქნას აცილებული ფუნქციების დუბლირება. ასევე, ყველა დასახლებაში გათვალისწინებულია ტერიტორიული ორგანოების შექმნა, რომლებიც კონკრეტული დასახლების საჭიროებებს და მოთხოვნებს მიიტანენ მუნიციპალიტეტების მერამდე.

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის წინადადებას გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, ახალციხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შექმნასთან დაკავშირებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე წარმოადგენს.

საზოგადოებრივი თავშეყრის მსხვილი ობიექტებისთვის სავალდებულო წესით დაზღვევა ამოქმედდება

საზოგადოებრივი თავშეყრის მსხვილი ობიექტებისთვის სავალდებულო წესით დაზღვევა ამოქმედდება. შესაბამისი ცვლილება „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონში“ შედის, რომლის შესახებაც მთავრობის სხდომის დაწყებამდე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ისაუბრა.

კერძოდ, კვირიკაშვილის განმარტებით, ობიექტების ნუსხას, რომლებსაც სავალდებულო წესით დაზღვევა შეეხება, სახელმწიფო შეადგენს. გიორგი კვირიკაშვილის ინფორმაციით, ცვლილებების მიზანია, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ისეთი გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი მოვლენების დროს, როდესაც ზიანი ადგება მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას, მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის უფრო მეტად დაცვა და მიყენებული ზარალის პრევენცია.

„ბოლო პერიოდში მომხდარი რამდენიმე ხანძრის შედეგად, საკმაო ზარალი მიადგა სავაჭრო ცენტრებს, მათ მომხმარებლებს, იქ ფუნქციონირებად მცირე და საშუალო ბიზნესს. ამიტომ, შემოგვაქვს ცვლილება— სახელმწიფო შეადგენს ნუსხას და ამ ნუსხაში გათვალისწინებულ ობიექტებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს და მათ მფლობელებს ექნებათ სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნა, რათა მესამე პირების მიმართ სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ქონების ნაწილში მიყენებული ზიანი იყოს აუცილებელი წესით დაზღვეული“, — აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ შეცდომა დაუშვა, როდესაც წარსულში უარი თქვა სავალდებულო დაზღვევის რამდენიმე სახეობაზე. პრემიერ-მინისტრის თქმით, მთავრობა მაქსიმალურად შეუწყობს ხელს დაზღვევის იმ სახეობების განვითარებას, რომლებიც ყველა განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს.

პრემიერ-მინისტრმა ქართველ მორაგბეებს წარმატებები უსურვა

საქართველოში **რაგბი არის ნამდვილად ნაციონალური თამაში, ის გახდა ეროვნული ღირსების სიმბოლო და მინდა, ყველა მორაგბეს მივულოცო ეს ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევა, რომ ჩვენს ქვეყანაში ტარდება ესოდენ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ჩემპიონატი,** — ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი 20 წლამდე მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც პროექტ check in Georgia-ს ფარგლებში 31 მაისიდან იმართება.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ეს არის ძალიან დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა.

„საქართველო მონაწილეობს ისეთ ქვეყნებთან ერთად, როგორებიც არიან — ინგლისი, ირლანდია, ავსტრალია, უელსი, სამხრეთ აფრიკა, ახალი ზელანდია, არგენტინა, საფრანგეთი, შოტლანდია, სამოა და იტალია. ყველა არის მართლაც რაგბის ქვეყანა და ჩვენ ვართ ასეთი გუნდების რიგში. ეს არის ძალიან ბევრი მუშაობის შედეგი. საქართველოში უპრეცედენტო სამუშაო ჩატარდა რაგბის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. 11 სარაგბო ბაზა აშენდა და 21 სარაგბო სტადიონი. არ შემიძლია, მადლობა არ გადავუხადო ფონდ „ქართუს“, რომელიც უკვე წლების განმავლობაში, მთელი ათწლეულია, თანმიმდევრულად აფინანსებს სარაგბო ინფრასტრუქტურის შექმნას. მშენებლობის პროცესშია კიდევ 4 ბაზა. მინდა, პირველ რიგში საქართველოს ნაკრებს ვუსურვო წარმატება და გავამხნევო პირველი დღის შემდეგ. მგონია, რომ მნიშვნელოვანია, მათი ფსიქოლოგიური მხნეობა იყოს მათი ტექნიკური და ფიზიკური მომზადების დონის შესაბამისი“, — აღნიშნა პრემიერმა.

ურთიერთთანამშრომლობა ლიტვასთან წარმატებით გრძელდება

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ლიტვის შინაგან საქმეთა მინისტრს ეიმუტის მისიუნასს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და ლიტვის სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

გიორგი მღებრიშვილმა ლიტვის შს მინისტრს საქართველოს ევროინტეგრაციისა და ვიზალიბერალიზაციის პროცესში განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. შეხვედრაზე გიორგი მღებრიშვილმა ეიმუტის მისიუნასს უწყებაში ბოლო პერიოდში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები გააცნო, მათ შორის, კრიმინალური პოლიციის რეფორმირების, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციისა და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პროექტები, ასევე, შსს-ს მაღალტექნოლოგიური და მულტიფუნქციური ერთობლივი ოპერაციების ცენტრი.

გიორგი მღებრიშვილმა ყურადღება გაამახვილა შსს-ს აკადემიის საერთაშორისო ტრენინგ-პროექტზეც, რომლის ფარგლებშიც, რეგიონისა და მეზობელი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან სხვადასხვა სტრატეგიულ საკითხზე ერთობლივი სწავლებები განხორციელდება, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის უზრუნველყოფისთვის ერთიანი მიდგომის შემუშავებას, ასევე, მნიშვნელოვანი კონტაქტების დამყარებას. შეხვედრის დასრულების შემდეგ გიორგი მღებრიშვილმა და ეიმუტის მისიუნასმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ლიტვის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.

ჯანდაცვის სამინისტრომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაიზიარა

2017 წლის 26 მაისს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, რომ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამით სარგებლობას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები სტატუს-ნეიტრალური დოკუმენტის მქონე პირებიც შეძლებენ. აღიშნული პროგრამა მანამდე მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირთათვის იყო ხელმისაწვდომი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა 2016 წლის 26 იანვარს წინადადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უზრუნველეყო პირადობის ნეიტრალური მოწმობის და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირების C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა. სახალხო დამცველის წინადადებაში აღნიშნული იყო, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც მძიმე სოციალურ, ეკონომიკურ და უფლებრივ სიტუაციაში უწევთ ცხოვრება. ამ პირობებში, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საქართველოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება დაიცვას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა ჯანმრთელობა და სოციალური უფლებები.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან თავდაპირველი წერილის თანახმად, ასეთი ცვლილება შეუძლებელი იყო პროგრამის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე. თუმცა, მოგვიანებით, სახალხო დამცველს აცნობეს სამინისტროსა და ფარმაცევტულ კომპანია „გილადს“ შორის შემდგარი შეთანხმების თაობაზე, რომ პროგრამაში ნეიტრალური დოკუმენტების მქონე პირებიც ჩართულიყვნენ. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მთავრობის მხრიდან მისი რეკომენდაციის გაზიარებას. ეს ნაბიჯი არა მხოლოდ გააუმჯობესებს კონფლიქტურ რეგიონებში პირთა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას, არამედ ხელს შეუწყობს კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენასაც.

არავის უნდა გაუჩნდეს ეჭვი, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები დაცული არ არის

ძალიან კარგად მესმის ჩვენი მოქალაქეების და ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო სექტორის წუხილი, თუმცა, მინდა, აქვე ვთქვა, რომ წინასწარი დასკვნების გაკეთება მიუღებელია, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით განაცხადა. როგორც გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, მიუღებელია, სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე მომუშავე და მზრუნავი ინსტიტუტების დისკრედიტაცია.

„გამოძიება მიმდინარეობს. შინაგან საქმეთა მინისტრმა გააკეთა განცხადება, კავშირი გვაქვს აზერბაიჯანელ კოლეგებთან და ჩემი მოწოდება იქნება, რომ გამოძიების დასრულებამდე წინასწარი დასკვნებისგან თავი შევიკავოთ. თუ ჩვენ შევუწყვეთ ხელი სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის შემცირებას, ძალიან გაგვიჭირდება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების რეალურად დაცვა. ნდობა, ჩვენს მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის არის ის, რაზეც ემყარება ნამდვილად დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა, ამიტომ, ყველას კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, წინასწარი დასკვნებისგან, სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციისგან თავი შევიკავოთ. სამართალდამცავებს, რა თქმა უნდა, მოვუწოდებ, მაქსიმალურად მოკლე ვადაში გავაკეთოთ ყველაფერი, რათა ეს საკითხი იყოს გამოძიებული და ჩვენს ქვეყანაში არავის გაუჩნდეს ეჭვი იმაზე, რომ ადამიანის უფლებები არ არის დაცული და რაიმე ისეთი ხდება, რაზეც მიმდინარეობს ამ ორი დღის განმავლობაში სპეკულაციები – თითქოს გადაცემა მოხდა და ა.შ. ეს არის კატეგორიულად დაუშვებელი და რა თქმა უნდა, გამოვრიცხავ, რომ სახელმწიფო სტრუქტურები იყვნენ რამე ამდაგვარში ჩართული. გამოძიება მიმდინარეობს და დაველოდოთ გამოძიების დასკვნებს“, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ყველას მოუწოდებს, აზერბაიჯანელი მოქალაქის აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით წინასწარი დასკვნებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციისგან თავი შეიკავონ.

ვახტანგ ყოლბაია ოთხოზორიას საქმეზე

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია აფხაზური მხარის მიერ საქართველოს მოქალაქე გიგა ოთხოზორიას მკვლელის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მიიჩნევს, რომ მომხდარი სერიოზულ მსჯელობასა და გადაწყვეტილებებს საჭიროებს, ვინაიდან მომხდარმა შესაძლოა, ჟენევის დისკუსიებზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს:

„ეს არის თავხედური, ცინიკური დამოკიდებულება ჩვენი პრობლემის, ადამიანის უფლებების ხელყოფის, ჩვენი და მშობლების ტკივილისადმი. ვფიქრობ, ამაზე მკაცრი რეაგირებაა საჭირო და არ ვთვლი, რომ საკითხი ჟენევის დისკუსიებამდე უნდა გავწელოთ. თუ აფხაზებს და რუსებს მართლაც სურთ ჟენევის დისკუსიების ჩაშლა, ეს მათ სინდისზე იქნება. ამ პირობებში რაზე უნდა ილაპარაკო თუნდაც IPRM-ზე? რა დანიშნულება აქვს IPRM–ს, როდესაც ელემენტარული საკითხები ვერ წყდება? რა დანიშნულება აქვს ჟენევას, როდესაც თავმჯდომარე ერთ განცხადებას აკეთებს, ზემდგომი ორგანოების სულისკვეთება კი სულ სხვაა? აქ ცოტა უფრო სერიოზულად არის საქმე და ამას უკვე სხვა დონეზე სჭირდება მსჯელობა, ანალიზი და გადაწყვეტილებების მიღება“, – განუცხადა „აქცენტს“ ყოლბაიამ.

ცნობისთვის: საქართველოში აღძრული საქმის მასალების მიხედვით, 2016 წლის 19 მაისს, დაახლოებით 14:15 საათზე გიგა ოთხოზორიამ მისი მართვის ქვეშ მყოფი „ოპელ-ასტრას“ მოდელის ავტომანქანით ნაცნობები ლ.ა და რ.ქ ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში მდებარე ადმინისტრაციულ საზღვართან მიიყვანა. მის მგზავრებს ოკუპირებული გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის ტერიტორიაზე ახლობლის დაკრძალვისთვის შეძენილი პროდუქტის გადატანა სურდათ. მათი დახმარების მიზნით ოთხოზორია მდინარე ხაიაზე არსებული ხიდით ოკუპირებული ტერიტორიის მიმართულებით გაემართა და სურდა, მოლაპარაკებოდა იქ მყოფ პირებს, მის ნაცნობებს პროდუქტის გადატანაში დაეხმარებოდნენ. საუბარში ადმინისტრაციულ საზღვართან მყოფი აფხაზეთის არაკანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ფორმირების წარმომადგენლებიც ჩაერთვნენ, მათ შორის ე.წ. „მესაზღვრე“ რაშიდ ქანჯი ოღლი. საუბარი შელაპარაკებაში გადაიზარდა, რა დროსაც კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ოთხოზორია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიისკენ გამოემართა. მას მუქარით უკან დაედევნენ აფხაზეთის არაკანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის – ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული რაშიდ ქანჯიოღლი. რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ, უკვე ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩის ტერიტორიაზე ქანჯიოღლი ოთხოზორიას დაეწია და განზრახ მოკვლის მიზნით ცეცხლსასროლი იარაღიდან ქვედა კიდურებისა და მუცლის არეში ესროლა. მიღებული დაზიანებების შედეგად ოთხოზორია ძირს დაეცა, ხოლო ქანჯიოღლიმ წაქცეულს თავის არეში საკონტროლო გასროლით მიაყენა დაზიანება, შემდეგ კი თანმხლებ პირებთან ერთად საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორია დატოვა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიიმალა. მიღებული დაზიანებების შედეგად გიგა ოთხოზორია საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ქართულმა მართლმსაჯულებამ მკვლელს თავისუფლების 14 წლით აღკვეთა დაუსწრებლად მიუსაჯა, თუმცა ქანჯიოღლი ამ დრომდე არ იყო დაკავებული. აფხაზურმა მხარემ კი მკვლელის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვიტა. ამის შესახებ გალში გამართული შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი.

წულუკიანი ნანუაშვილის წინააღმდეგ

იუსტიციის მინისტრი აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებას განმაცვიფრებელს უწოდებს. თეა წულუკიანის განცხადებით, ბოლო პერიოდში, შემაშფოთებელი ბრალდებები გავრცელდა სამართალდამცავი უწყებების მიმართ.მისი თქმით, აბსოლუტურად გამორიცხულია, რომელიმე ქართველ სამართალდამცავს მიეღო მონაწილეობა „ამგვარ გაუგონარ ფაქტში“.

„ჩვენი სამართალდამცავი უწყებების მიმართ მოვისმინე სხვადასხვა შემაშფოთებელი ბრალდება, მათ შორის, სახალხო დამცველის მხრიდან. მისი „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გაკეთებული განცხადება ჩემთვის აბსოლუტურად გასაოცარი და განმაცვიფრებელი იყო. მინდა ვთქვა, რომ აბსოლუტურად გამორიცხულია, რომელიმე ჩვენი სამართალდამცავი მონაწილეობდეს ამგვარ გაუგონარ ფაქტში...

მე მრცხვენია კიდეც, ამას რომ ვამბობ. ჩვენმა საზოგადოებამ და მათ შორის სახალხო დამცველმა, უნდა იცოდნენ, სუს-ი იქნება ეს თუ შსსი – ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე მათთვის ხელის დადება და მსგავსი განცხადებები ანგრევს ჩვენს სტრუქტურებს. მე მინდა, კიდევ ერთხელ მხარდაჭერა დავუდასტურო იმ სამართალდამცველს, ვინც კანონის დაცვას ემსახურება“, – განაცხადა თეა წულუკიანმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, გადაცემა „მთავარში“.

სახალხო დამცველმა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის საქმეზე ოფიციალური განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნავს, რომ არ უნდა გაჩნდეს რაიმე ეჭვიც კი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სახელმწიფო თვალს ხუჭავს დანაშაულზე ან გულგრილად ეკიდება აფგან მუხთარლის გაუჩინარებას.

მუხთარლის ადვოკატის განცხადება ცალმხრივად იქნა ატაცებული

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის დაკავებას ეხმიანება. გამართულ ბრიფინგზე მან განაცხადა, რომ საქართველოს სამართალდამცავ უწყებებს არავითარი შემხებლობა არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

„მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფგან მუხთარლის ჰქონდა საზღვრის გვერდის ავლით გადაკვეთის წინასწარ შემუშავებული სქემა, რომ ეს არ იყო პირველი პრეცედენტი და იგი რეგულარულად ახორციელებდა არადეკლარირებული უცხოური ვალუტის კონტრაბანდული გზით შეტანას აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. ჩვენ ამ ეტაპზე ვერც დავადასტურებთ და ვერც უარვყოფთ აღნიშნულ გარემოებებს. გამოძიებით ჯერჯერობით დადგენილი არ არის ამ ვერსიის უტყუარობა, ასევე ის, ჰქონდა თუ არა რაიმე წინასწარი ინფორმაცია აზერბაიჯანულ მხარეს და ახორციელებდნენ თუ არა საზღვრის ამ კონკრეტულ მონაკვეთზე გაძლიერებულ კონტროლს. პარალელურად, განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს აფგან მუხთარლის მეუღლე, აზერბაიჯანელი ჟურნალისტი და აქტივისტი ლეილა მუსტაფაევა და მუთხარლის ადვოკატი. ადვოკატის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ამბობს, რომ ის თბილისიდან ძალის გამოყენებით გაიტაცეს. მისი თქმით, თავდამსხმელებს სამოქალაქო სამოსი ეცვათ და ვარაუდობს, რომ შესაძლოა საქართველოს სპეცსამსახურის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ. სამწუხაროდ, მუხთარლის ადვოკატის განცხადება სრულიად ცალმხრივად და დაუსაბუთებლად იქნა ატაცებული გარკვეული პირების მხრიდან და ყოველგვარი ფაქტობრივი მტკიცებულებების, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ხდება ამ ვერსიის ტირაჟირება. ჩვენ კარგად გვესმის ზოგიერთი მოქალაქისა და ორგანიზაციის ემოციური დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, თუმცა ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად, არასწორად და დაუშვებლად მიგვაჩნია საქმეზე წინასწარი დასკვნების გაკეთება, მით უმეტეს, ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უწყებების დისკრედიტაციის მცდელობა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქმის ამგვარ ვერსიასთან საქართველოს სამართალდამცავ უწყებებს არავითარი შემხებლობა არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ. ჩვენს ქვეყანაში აზერბაიჯანული ეროვნების ბევრი ადამიანი ცხოვრობს და სახელმწიფო არასდროს დაინტერესებულა მათი დამოკიდებულებით აზერბაიჯანის ხელისუფლებისადმი. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ აზერბაიჯანელ პარტნიორებსაც არასდროს მოუმართავთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი ოფიციალური ან არაოფიციალური თხოვნით, პოლიტიკური შეხედულების გამო, აზერბაიჯანის მოქალაქეების უფლებების რაიმე ფორმით შეზღუდვასთან ან სამშობლოში მათ იძულებით დაბრუნებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ არც თავად აფგან მუხთარლის მხრიდან დაფიქსირებულა რაიმე მიმართვა შესაბამისი უწყებებისადმი, მის პირად უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ მხოლოდ დაკავებულის ადვოკატის განცხადების საფუძველზე, ან მედიაში გავრცელებულ ვერსიებზე დაყრდნობით, ყოველგვარი არგუმენტის გარეშე, საქართველოს ან აზერბაიჯანის სამართალდამცავი უწყებების დადანაშაულება უსამართლობაა“, – განაცხადა მღებრიშვილმა.

გარდაცვლილი ტყის მცველის ოჯახს ღირსების ორდენი გადაეცა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა, ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა ქართლის სატყეო სამსახურის გარდაცლილი ტყის მცველის კახაბერ ყურაშვილის ოჯახს ღირსების ორდენი გადასცა. ტყის მცველი მიმდინარე წლის თებერვალში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ბრაკონიერებმა მოკლეს.

კახაბერ ყურაშვილი 2010-2011 წლებში შიდა ქართლის სატყეო სამსახურის, გორის სატყეო უბნის, ხოლო 2013 წლიდან 2017 წლამდე კასპის სატყეო უბნის ტყის მცველად მუშაობდა.

ჯეჯელავა „ლურჯ ვეშაპზე“

ძალიან გთხოვთ, საკითხის პოპულარიზაციას ნუ მოახდენთ. არანაირი თამაში არ არის, ეს არის ბავშვების თვითდაზიანება, რომლის პრევენციასაც ვაკეთებთ და დიდი თხოვნაა მედიასაშუალებებთან, რომ რეიტინგის დევნაში ნუ დაღუპავთ ბავშვებს,** – განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა.

„მინდა, ყველას მოგიწოდოთ, რომ ამ საკითხზე მინიმალურად მოხდეს საუბარი, იმიტომ, რომ შეიძლება ამ თემის პოპულარიზაცია მოხდეს. ძალიან ყურადღებით ვართ, სამართალდამცველებთან ერთად ყველა შემთხვევას ვიძიებთ და რაც ნაკლები გაშუქება იქნება, მით უფრო დავიცავთ ბავშვების ინტერესებს. თვითდაზიანების ფაქტები სულ ხდება, ხან ერთი მიზეზით, ხან – მეორე. ჩვენ ვაკონტროლებთ სიტუაციას“, – განაცხადა ჯეჯელავამ.

საღ საქართველოს

თურქეთის ტერიტორიაზე დღევანდლამდე შემორჩენილი ქართული ხუროთმოძღვრების განუმეორებელი ძეგლების საგანგაშო, უაღრესად არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი ხანია იცის, თუმცა კი, მრავალი ცდისა და დიდი ძალისხმევის მიუხედავად, სათანადო დონეზე მათი შველა დღემდე ვერა და ვერ ხერხდებოდა. და აი, ამ დღეებში, იმის იმედი გაჩნდა, რომ ჩვენამდე მოღწეული ტაძრების შემორჩენილი ნაწილები, ოდესღაც დიდებული ფერწერის ფრაგმენტები საბოლოო განადგურებას გადაურჩება. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობის მრავალწლიანმა, განსაკუთრებით ბოლო წლებში გააქტიურებულმა მუშაობამ სასურველი შედეგი გამოიღო: ცოტა ხნის წინათ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამთავრობო შეთანხმებას „2017-2021 წლებში კულტურის სფეროში თანამშრომლობის პროგრამას“ მოეწერა ხელი, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი ორი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ერთმანეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მოვლა-პატრონობის კომპლექსური ღონისძიებებია გათვალისწინებული.

ამ უაღრესად აქტუალური საკითხის დეტალებში გასარკვევად, ასევე სამამულო კულტურის ზოგიერთი სხვა მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად რედაქციამ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს მიხეილ გიორგაძეს მიმართა.

— პირველ ყოვლისა, ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის აღნიშნული შეთანხმება, რომელიც კულტურის სფეროს ეხება, გაფორმდა არა ორი ქვეყნის კულტურის სამინისტროებს, არამედ მთავრობებს შორის, რაც, ცხადია, მას გაცილებით მეტ წონას ანიჭებს, — თქვა ბატონმა მიხეილ გიორგაძემ. — თურქეთის მხრიდან დოკუმენტს საგარეო საქმეთა მინისტრმა მოაწერა ხელი, საქართველოს მხრიდან — კულტურის მინისტრმა.

— თუ შეიძლება, შეთანხმების შინაარსის შესახებ უფრო დაწვრილებით გვიამბეთ.

— დოკუმენტში, კერძოდ, ნათქვამია, რომ საქართველო და თურქეთი მჭიდროდ ითანამშრომლებენ კულტურის უკლებლივ ყველა, მათ შორის, თეატრის, კინოს, ლიტერატურის, მუსიკისა და ა. შ. დარგებში, უშუალო მონაწილეობას მიიღებენ ერთმანეთის ყველა სახეობის კულტურულ ღონისძიებებში — ფესტივალებში, გამოფენებში, ერთი დონის ნათესაურ კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტიტუციებს შორის ურთიერთობის ახალი პროგრამის შემუშავებასა და სხვ.

ეს ყველაფერი, რაღა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი და მისასალმებელი გარემოებებია, მაგრამ, ჩემი აზრით, პროგრამის ყველაზე მთავარი კომპონენტი მაინც ორი ქვეყნის ხელისუფლების ძალისხმევაა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პარტნიორობას ითვალისწინებს.

ამ შემთხვევაში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ორივე მხარე პასუხისმგებლობას კისრულობს მის ტერიტორიაზე არსებული პარტნიორი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობაზე: ეს იქნება ინვენტარიზაცია, რეაბილიტაცია, კონსერვაცია თუ სხვა.

საგანგებოდ მინდა, აღვნიშნო, რომ ამ საკითხებზე მოლაპარაკებები საქართველოსა და თურქეთს შორის ძალიან დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა, თუმცა კი, ჩვენთვის ამ დიდად მტკივნეული პრობლემის დადებითად გადაწყვეტა, რაც, პირველ ყოვლისა, თურქეთის ტერიტორიაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მეტად მძიმე მდგომარეობითაა განპირობებული, ვერაფრით ხერხდებოდა. 2008 წელს ეს პროცესი სულაც ჩიხში მოექცა და, საქართველოს კულტურის სამინისტროს სსიპ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელთა მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, ბოლო დრომდე ეს თემა ერთგვარად „გაყინული“ იყო. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ მეც და კულტურის მინისტრის პოსტზე ჩემს წინამორბედებსაც მოლაპარაკებების წარმართვა თურქეთის კულტურის რამდენიმე მინისტრთან მოგვიწია, რაც პროგრესს აშკარად აფერხებდა, თუმცა კი, საბედნიეროდ, არაერთი სამუშაო შეხვედრის შემდეგ, ყველაფერი სასურველი შედეგით დასრულდა.

ამასთან, ხაზი მინდა, გავუსვა იმ გარემოებასაც, რომ შეთანხმების ტექსტი არა ამ ტიპის დოკუმენტებისთვის საერთაშორისო ნორმებით მიღებული სტანდარტული ფორმულირებებითაა შედგენილი, არამედ მასში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვასა და მრავალ სხვა ასპექტთან დაკავშირებული საკითხები მაქსიმალურად დეტალურადაა გაწერილი, რასაც, ცხადია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე მხარის ინტერესთა დაცვის მხრივ.

— მაინც რაში მდგომარეობს ეს დეტალიზაცია?

— კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის სფეროში საქართველო-თურქეთის თანამშრომლობა სამ ეტაპადაა დაყოფილი. მათგან პირველია ფიზიკური მდგომარეობით სადღეისოდ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში მყოფი ძეგლების იდენტიფიცირება. ამ მხრივ ჩვენთვის ყველაზე საშური საქმეა ოშკის ტაძარი, რომელიც ყველა თვალსაზრისით სრულიად გამორჩეული ძეგლია, რომლის შემორჩენილი ნაწილისთვის ნებისმიერი ძლიერი უამინდობა შესაძლოა საბედისწერო აღმოჩნდეს. მისი თუნდაც მარტივად გამაგრების ჩვენი ყველა მცდელობა კი აქამდე უშედეგოდ მთავრდებოდა. ამდენად, მისახედ ძეგლთა ნუსხაში ოშკის ტაძარი პირველია.

შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საიდენტიფიკაციო სამუშაოთა ჩასატარებლად იქმნება ორივე მხარის სპეციალისტებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრები ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე იმუშავებენ. სათანადო კვლევები და მოსამზადებელი სამუშაოები დაუყოვნებლივ იწყება, შესაბამისად, კონკრეტული პროექტის მომზადების შემდეგ თავად ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება.

მეორე ეტაპია ნაკლებად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ძეგლების იდენტიფიცირება და უკვე ჩატარებულ სარეაბილიტაციო სამუშაოთა რევიზია, ასევე, წარმოშობილი შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, იმ ღონისძიებებისა და მექანიზმების შემუშავება, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც შეიძლება გამოასწორონ დაშვებული შეცდომები, ცხადია, ასეთების არსებობის შემთხვევაში. მაგალითისთვის შეიძლება იშხნის ტაძრის მოყვანა, სადაც თურქეთის მხარის მიერ ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, მართალია, დასრულებულია, მაგრამ ჩვენს სპეციალისტებს მთელ რიგ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული პრეტენზიები აქვთ, თუმცა კი ისიც ცხადია, რომ უკვე გაკეთებულს აღარავინ არ დაანგრევს და ხელახლა არ ააშენებს. ამიტომაც გითხარით, რომ თუკი არსებული ხარვეზების სრულად გამოსწორება ვერ მოხერხდება, საქმეს იქნებ ნაწილობრივ მაინც ეშველოს, რაც, უმეტესად, კედლის მხატვრობასთან დაკავშირებულ სამუშაოებს უკავშირდება, რის შესაძლებლობას თანამედროვე ტექნოლოგიები თავისუფლად იძლევა.

მესამე ეტაპი კი ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდროების ყველა იმ ძეგლის სრულ ინვენტარიზაციას ითვალისწინებს, რომლებიც მეორე მხარისთვისაა საინტერესო. იმის მიუხედავად, რომ ჩვენთვის ცნობილია თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ჩამონათვალი, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თურქული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხა, სრული სურათი დღესდღეობით წარმოჩენილი მაინც არ არის. ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, ის გახლავთ, რომ არც საქართველოში, არც თურქეთში ამ მხრივ ძეგლების სისტემური, კომპლექსური, ერთი სიტყვით, სრულფასოვანი ინვენტარიზაცია ჯერ არასდროს ჩატარებულა, ცალკეული ასპექტების შესწავლა, რომ იტყვიან „ალაგ-ალაგ“ და, მეტწილად, სპონტანურად ხდებოდა. იმავეს თქმა შეიძლება სარეაბილიტაციო სამუშაოებზეც, რომლებიც, ძირითადად, ფრაგმენტულად და ერთობ ქაოტურად ტარდებოდა, ვინაიდან ძალიან ბევრი რამ, ასე ვთქვათ, „საკუთარი კეთილი ნების“ დონეზე კეთდებოდა, რაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის საქმეში ყოველთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა. ამიტომაც აღნიშნულ შეთანხმებაში კონკრეტულადაა გაწერილი, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაციის პროცესში, როგორც ქართველ, ასევე თურქ სპეციალისტებს ჩართვა ნებისმიერ ეტაპზე შეეძლებათ. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ქართველი ექსპერტები სამუშაოთა მიმდინარეობაში პრაქტიკულად მიიღებენ მონაწილეობას და საქმეს თავად გააკეთებენ, არა, ეს თურქეთის მხარის პრერეგატივა და მათი ვალდებულებაა. თუმცა, როგორც ჩანს, გამონაკლისს ამ შემთხვევაში მხატვრობა წარმოადგენს, ფრესკების აღდგენა და, ვინაიდან ჩვენ ამის ძალიან ძლიერი სკოლა გვაქვს და ჩინებული სპეციალისტებიც გვყავს, გამორიცხული არ არის, რომ კედლის მხატვრობის ფრაგმენტების აღდგენაში მათაც მიიღონ მონაწილეობა. თუმცა კი, ვიმეორებ, ჩვენი სპეციალისტები, უმთავრესად, საპროექტო ზედამხედველობას განახორციელებენ, განსაკუთრებით ეს ეხება არქეოლოგიურ სამუშაოებს, რაც ქართველი მეცნიერების დიდი ხნის აუხდენელი ოცნება იყო.

ისე კი, შეთანხმებასთან, ჩვენი ქვეყნისთვის მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ერთი გარემოება მინდა გამოვყო. აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩმა ირაკლი კოპლატაძემ ეს ამბავი ასე შეაფასა: ამ საკითხზე თერთმეტი წელი ვიმუშავე და ახლა ჩემი მისია სამშობლოს წინაშე შესრულებულად შემიძლია ჩავთვალოო.

დამეთანხმებით, საგულისხმო სიტყვებია!

— ბუნებრივია, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა იდენტიფიცირების, კვლევითი, სარეაბილიტაციო, სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებას, უამრავ სხვა საქმეს, საკმაოდ სოლიდური ფინანსური უზრუნველყოფა სჭირდება. შეთანხმებაში ეს საკითხი როგორღაა გადაწყვეტილი?

— თითოეული მხარე პასუხისმგებელია თავის ტერიტორიაზე არსებული პარტნიორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სარეაბილიტაციოდ საჭირო სახსრების სრულად გამოყოფაზე.

უფრო კონკრატულად თუ ვილაპარაკებთ, ჩვენში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მოსავლელად საჭირო ფინანსური სახსრების ორი წყარო არსებობს. პირველი, ცხადია, სახელმწიფო ბიუჯეტია, რომლიდანაც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სათანადო ასიგნება გამოეყოფა, რომლის გარკვეულ ნაწილს შემდგომ სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო იღებს. მეორე კი ფონდი „ქართუა“, რომელიც, მინდა გითხრათ, ამ მიზნით გაცილებით მეტ სახსრებს გასცემს. თავად განსაჯეთ: მარტო წლეულს, იმ ძეგლებზე, რომლებიც, აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე კონსერვაციის, რეაბილიტაციის ან კვლევის რეჟიმში მოექცევა, ფონდი 15 მილიონ ლარზე მეტს გამო-

იშხანი

ოშკი

სული ტრიალებს დღესაც...


გელათი

ბაგრატის ტაძარი

ყოფს. 2016 წელი კი სააგენტოსთვის სულაც რეკორდული იყო, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების, ასევე ობიექტების რიცხოვნობის მხრივაც – ძეგლთა დაცვა-რეაბილიტაცია-კვლევაზე 11 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა, რაც წინა წლებში სუბსიდირების 3-4 მილიონ ლართან შედარებით, ცხადია, ჭეშმარიტი „გარღვევაა“. მეტიც: ყველაფერთან ერთად ფონდი „ქართუ“ იმ ობიექტების დამოუკიდებლად იდენტიფიცირებასაც ახდენს, რომლებიც გარკვეული სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას საჭიროებენ. საბოლოო ანგარიშით კულტურული მემკვიდრეობის მოვლაზე ფონდის ხარჯი 40 მილიონ ლარს აღწევს.

ამასთან, ბუნებრივია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დასაცავად საბიუჯეტო სახსრების განსაზღვრა წინასწარვე ხდება, დგება შესაბამისი ნუსხა და სარეაბილიტაციო ობიექტების ჩამონათვალი, რასაც პირველ რიგში მათი ფიზიკური მდგომარეობა განსაზღვრავს. შემდეგ კი, გაწერილი გეგმის მიხედვით, საკულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში როგორც ფინანსური სახსრების მატების, ასევე, შესაბამისად, ობიექტების რიცხოვნობის ზრდისა და ჩატარებულ სამუშაოთა მოცულობის მხრივაც, ბოლო წლებში აშკარა აღმავლობაა. ეს ასე მოხდება, რის დიდი იმედი გვაქვს, მაშინ სამივე ქართული ძეგლი კვლავ თავის ადგილს დაიკავებს ამ ღირსშესანიშნავ ნუსხაში.

ამასთან, დიდად სამწუხაროა, მაგრამ ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის დროს – მართალი ბრძანდებით და, მინდა გითხრათ, რომ ამ მხრივ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ქვეყნის ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთობლივად (რაც, დარწმუნებული ვარ, ბევრისთვის ერთობ მოულოდნელი იქნება), თანადო სამუშაოები მთელი წლის მანძილზე ხორციელდება.

რაც შეეხება ქართულ ძეგლებს თურქეთის ტერიტორიაზე, ამ შემთხვევაში, როგორც წეღან გითხარით, ჩვენი სპეციალისტების სამივლინებო ხარჯის გარდა, სხვა ფინანსური სახსრები არ გვჭირდება, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე თურქული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული სამუშაოების საფინანსო უზრუნველყოფა სახელმწიფო ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული.

ამის გარდა, სააგენტოს აქვს ოპერატიული ჩარევის საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში ამის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსი.

– კონკრეტულად თურქეთის ტერიტორიაზე არსებული რომელი ქართული ძეგლების ინვენტარიზაცია-რესტავრაციაზეა ლაპარაკი და რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში?

– კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხა ორივე ქვეყნის ტერიტორიისთვის, ცხადია, დიდი ხნის შედგენილია, თუმცა კი გამორიცხული არ არის, რომ კვლევების პროცესში მათ ახალი ობიექტები დაემატოს, მაგრამ ეს რამდენადმე შორეული პერსპექტივაა. ყველაფერი ოპერატიულ ინფორმაციაზე იქნება დამოკიდებული, თორემ სად რომელი ძეგლია და როგორია სადღეისოდ მისი მდგომარეობა, ყველაფერი ეს სპეციალისტებისთვის კარგადაა ცნობილი. წეღანაც გითხარით, რომ დღესდღეობით ჩვენი პირველი რიგის საზრუნავია ოშკის საყდარი.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, რაოდენობრივადაც და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობითაც ქართული ობიექტები თურქეთის ტერიტორიაზე ჭარბობენ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ თურქულ ძეგლებს. ამდენად, ასე ვთქვათ, საკითხისადმი პირდაპირი მონაცვლეობის პრინციპით მიდგომა ამ შემთხვევაში არ გამოდგება.

საერთოდაც, მინდა გითხრათ, რომ კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეტანილი სამი ქართული ძეგლიდან ორი, რომ იტყვიან, „გაძევების“ საფრთხის წინაშე იდგა! მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენმა დიდმა ძალისხმევამ და სათანადო მუშაობამ სასურველი შედეგი გამოიღო და შარშან სიაში მცხეთის დაბრუნება შევძელით. ერთ თვეში კი, ივლისში, პოლონეთის ქალაქ კრაკოვში იუნესკოს მსოფლიო მატერიალური მემკვიდრეობის კომიტეტის სხდომა გაიმართება, რომელზეც გელათის ტაძრის ძირითად სიაში დაბრუნების საკითხს განიხილავენ. თუკი განხორციელებული გამოუსწორებელი ჩარევის გამო, მისი ამ სიაში დაბრუნების თეორიული შანსიც აღარ არსებობს. ნუგეშად კი იმის თქმა მაინც შემიძლია, რომ მთელი ჩვენი ძალისხმევა ამჟამად იმაზეა მიმართული, რომ რადგან გელათისა და ბაგრატის ტაძრები იუნესკოს სიაში ერთად იყო მოქცეული, ჩვენ ისინი განვაცალკევეთ და ნუსხაში მხოლოდ გელათი დავაბრუნეთ. თუმცა კი, თავისთავად ბაგრატის საყდრის „დაკარგვა“ დიდად დასანანია. მაგრამ სრულიად უიმედოდ საქმე არც ამ შემთხვევაშია: ამჟამად იუნესკოს მსოფლიო მატერიალური კულტურის ძეგლთა კომიტეტში ახალი ნომინაციის შექმნის მიმართულებით ვმუშაობთ და, წინასწარი მოლაპარაკებების თანახმად, გელათისა და ბაგრატის საყდრის რაიონი გარკვეული ისტორიული ზონის დატვირთვას შეიძენს და სათანადო სტატუსსაც მიიღებს. შესაბამისად, ბაგრატის საყდარი ამ ისტორიული ზონის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი იქნება. ამასთან დაკავშირებით კომიტეტში განგვიცხადეს, რომ შემოთავაზებული პროექტის განხორციელებას პრობლემები არ შეექმნება, ხოლო მის მოსაწყობად კვალიფიციური სპეციალისტებით დახმარებასაც დაგვპირდნენ.

თუ ყოველივე ზემოთქმულის მიღწევას შევძლებთ, ამით ნამდვილად წელგამართულად წარვსდგებით როგორც ქართველი საზოგადოებრიობის, ასევე მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე.

– ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა, რაღა თქმა უნდა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა, მაგრამ ისიც ხომაა, რომ ჩვენი წარსული მარტო შორეული საუკუნეებიდან შემორჩენილი ხუროთმოძღვრების ძეგლებით, მრავალხმიანობით, ცეკვით, ლიტერატურით, ფერწერით არ შემოიფარგლება. თანამედროვე ისტორიაშიც ხომ ბევრი რამ იყო ღირსშესანიშნავი, რასაც მეტერიალური ფასეულობა აქვს. ამ მიმართულებით თუ კეთდება რამე?

– მაინც რას გამოყოფდით პირველ რიგში?

– ბოლოდროინდელი ჩვენი წარმატებებიდან, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ის გახლავთ, რომ 2016 წელი ისტორიულად გამორჩეული იყო ჩვენთვის იუნესკოსთან ურთიერთობის მხრივ, რომელთანაც კონტაქტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბოლო წლებში, ფაქტობრივად, აღარც ჰქონდა. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ მსოფლიო მატერიალური მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში სამი ქართული ძეგლი იყო შეტანილი – მცხეთა, სვანეთის სოფელი ჩაჟაში, ასევე გელათისა და ბაგრატის საყდრები იმერეთში **(ეს ორი უკანასკნელი ერთ ნომინაციაში იყო გაერთიანებული, – Ო. ტ.)**: მათგან ორი – მცხეთა და ბაგრატის ტაძარი სამი წლის წინათ იუნესკომ „დაცვის ქვეშ მყოფ ძეგლთა“ რანგით უფრო დაბალ სიაში გადაიტანა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, სპორტულ ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, ასეთი მოქმედება ერთგვარი „ყვითელი ბარათია“, გაფრთხილებაა, რომ ხელისუფლება სათანადო ზომებს თუ არ მიმართავს, აღნიშნული ძეგლი სტატუსს დაკარგავს, რაოდენ დიდი შემლახავიც უნდა იყოს ეს მისი საერთაშორისო ავტორიტეტისთვის და ზიანის მომტანი ქვეყნის ისტორიისა და კულტურისთვის. ამდენად, წარმოიდგინეთ, რაოდენ სავალალო იყო ჩვენი მდგომარეობა: მსოფლიო მატერიალური კულტურის მემკვიდრეობის სიაში შეტანილი სამი ქართული ძეგლიდან ორი, რომ იტყვიან, „გაძევების“ საფრთხის წინაშე იდგა! მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენმა დიდმა ძალისხმევამ და სათანადო მუშაობამ სასურველი შედეგი გამოიღო და შარშან სიაში მცხეთის დაბრუნება შევძელით. ერთ თვეში კი, ივლისში, პოლონეთის ქალაქ კრაკოვში იუნესკოს მსოფლიო მატერიალური მემკვიდრეობის კომიტეტის სხდომა გაიმართება, რომელზეც გელათის ტაძრის ძირითად სიაში დაბრუნების საკითხს განიხილავენ. თუკი ორი მეტად საგულისხმო, ჩვენში უპრეცედენტო პროექტის ფრთაშესხმა აქვს ჩაფიქრებული. პირველის არსი ისაა, რომ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალს ინდუსტრიული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მივანიჭეთ და, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ეს ამჟამად მსოფლიოში მეტად აქტუალური თემაა. ამჟამად ვმუშაობთ ამ რაიონში ტურისტულად მომზადებული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაზე, უკვე გამოცხადდა კონკურსი სათანადო პროექტის შესაქმნელად.

ესტონელ სპეციალისტებთან ერთობლივად შემუშავებული კონცეფციით, ენგურჰესის რაიონში, რომლის თაღოვანი კაშხალი მსოფლიოში სიმაღლით მეოთხეა და თავისთავად უნიკალურ საინჟინრო ნაგებობას წარმოადგენს, ტურისტული თვალსაზრისით მიმზიდველი ინფრასტრუქტურის განვითარებას ვგეგმავთ. წყალსაცავის წყლის სარკე ერთგვარი „კრუიზებისთვის“, სხვადასხვა გასართობი ატრაქციონის მოსაწყობად იქნება გამოყენებული, ტურისტებისთვის კაშხლის ძირიდან წვერამდე მოეწყობა მინის ლიფტი, გადასახედი და დასასვენებელი მოედნები, კვების ობიექტები, ზიპ-ლაინები, ანუ სასრიალოები, ტურისტები კაშხლის გვირაბის დათვალიერებასაც შეძლებენ (ცხადია, მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც უსაფრთხოება გარანტირებული იქნება). ამ მიმართულებით მუშაობა უკვე მიმდინარეობს და, ამდენად, პირველად ისტორიაში საქართველოს ინდუსტრიული მემკვიდრეობის ნომინაციაში საკუთარი პოზიციონერების შესაძლებლობა ექნება.

კიდევ ერთი სიახლე კი ის გახლავთ, რომ ქალაქ ბორჯომის ცნობილ პარკში დღემდეა შემორჩეილი 1899 წელს აშენებული ჰიდროელექტროსადგურის შენობა. უკვე დაწყებული გვაქვს ამ ძველი ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც ასევე მინიჭებული აქვს ინდუსტრიული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ამჟამად მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები, უკვე მივაგენით იმ გერმანულ კომპანიას, რომელმაც თავის დროზე ამ ჰიდროელექტროსადგურისთვის საჭირო დანადგარები დაამზადა და ახლა მათ ზუსტ რეპლიკას აკეთებს. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ძველი ელექტროსადგურის ახალი ვარიანტი დეკორატიული მაკეტი კი არა, არამედ... მოქმედი, 200-300 კილოვატის სიმძლავრის საწარმო იქნება, რაც წყლის ნაკადის სეზონურ სიმძლავრეზე იქნება დამოკიდებული. ამდენად, ახლო მომავალში ყველასთვის საყვარელი ბორჯომ-პარკი ევროპაში ოდესღაც ამ ერთ-ერთ პირველ ჰიდროელექტროსადგურში გამოშვებული „ცოცხალი ელექტროენერგიით“ განათდება.

ბორჯომის პარკი

ენგურჰესი

ოთარ ტურაბელიძე

„პოლიტიკურმა პროგლეშეგმა ეკონომიკა არ უნდა დაამუხრუჭოს“

დავით სალარიძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ ახლად იყო გადაყვანილი, როცა 1993 წლის ბოლოს სახელმწიფოს მაშინდელი მეთაურის ედუარდ შევარდნაძის რეკომენდაციით გადაიყვანეს ისეთ სახელმწიფო სტრუქტურაში, რომელიც... არ არსებობდა და რომლის ჩამოყალიბება მას დაავალეს.

ბატონი დავითი იხსენებს:

— 93 წელია, არ არსებობს ასეთი დამოუკიდებელი სამსახური, არც შესაბამისი კანონი არსებობს და არც მატერიალური ბაზა.

— არადა, ამ სტრუქტურის საშუალებით უნდა შეივსოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

— სხვა წყარო აღარ არის, რადგან ცენტრალიზებული სისტემა, როცა საკავშირო ბიუჯეტიდან ხდებოდა რესპუბლიკების ბიუჯეტების შევსება, წარსულს ჩაბარდა. ქვეყანას საკუთარი შესაძლებლობით უნდა გაეტანა თავი.

პირველი, რითიც დავიწყეთ, კანონმდებლობის შექმნა იყო, რადგან მაშინ მთავრობის ერთადერთი დადგენილება მოქმედებდა დამატებითი ღირებულების ერთადერთ გადასახადზე, ისიც დროებითი რეგულაცია.

ბიუჯეტი მტკიცდებოდა ორჯერ (!) და მისი მთელი ოდენობა — 40 მილიონი, არაფერს ყოფნიდა. პენსიები მიზერული იყო.

საგადასახადო ინსპექციის პირველი სხდომა. პრეზიდიუმში: ედუარდ შევარდნაძე, დავით სალარიძე, თემურ ბასილია...

საგადასახადო პოლიციის პირველი შემადგენლობა

— რითი შეიძლება აიხსნას ამ ურთულესი საქმის მაინცდამაინც თქვენთვის დაკისრება? არც პროფესიული განათლება გიწყობდათ ხელს, არც სათანადო გამოცდილება გქონდათ.

— როგორც ჩანს, იმით, რომ იმ არეულ დროში, როცა პრაქტიკულად ყველა სფეროში გადამწყვეტი ძალის ფენომენი იყო, ამ ახალი საქმის დაწყებასაც ძალის მაქსიმალური კონცენტრაცია სჭირდებოდა. იგი თავად უნდა ჩამოყალიბებულიყო როგორც ძლიერი და ავტორიტეტული სახელმწიფო ინსტიტუტი. მე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ანუ, როგორც ძალოვან სტრუქტურაში მომუშავე კაცი ამ ახალ სტრუქტურაში გადამიყვანეს.

ჩემს ცხოვრებაში ეს იყო კიდევ ერთი გამოწვევა, როცა ყველაფერი თავიდან უნდა დამეწყო.

აქ გადმოსვლას თავიდან იმიტომაც დავთანხმდი, რომ რაღაც ფუნქციები, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა, საგადასახადო ინსპექციას გადმოეცა. უფრო ზუსტად რომ გითხრათ, ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს (ე.წ. ობეხეესი) ჰქონდა დავალებული, მთლიანად ჩვენ დაგვეკისრა.

— დათანხმდით, მიხვედით, დაიწყეთ მუშაობა.

— პირველი ნაბიჯი კანონმდელობის შესაქმნელად გადავდგით და ამ საქმეში სერიოზულად ამოგვიდგა მხარში საავალუტო ფონდი. სამწუხაროა, რომ საქართველოში ამ ფონდზე ნეგატიური შთაბეჭდილებაა შექმნილი. ასეთი შეხედულება მცდარია, პრიმიტიული მიდგომაა. მეტსაც გეტყვით, მან ბევრი რამ გაიკეთა საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დასამკვიდრებლად.

— მაგრამ ჩვენი ინტერესების გათვალისწინებით, რომლებსაც საქართველოს შესაბამისი სტრუქტურები პრინციპულად იცავდა.

— დიახ, განსაკუთრებით, ფინანსთა მინისტრი დავით იაკობიძე, ვისთანაც ძალიან სერიოზული და საქმიანი კონტაქტები გვქონდა. ბატონმა დავითმა დიდი როლი შეასრულა აღნიშნული კანონმდებლობის სრულყოფაში (ეს მისი სამინისტროს პრიორიტეტი იყო). იგივე უნდა ვთქვა თემურ ბასილიას შესახებ, რომელმაც ნაყოფიერად იმუშავა ამ სამსახურისა და მთლიანად ეკონომიკური ბლოკის საქმიანობის დასახვეწად.

პირველი საგადასახადო კოდექსი მაშინ დამტკიცდა, ამ ფონზე დაიწყო ჩემი საქმიანობა. ამას მოჰყვა მატერიალური ბაზის შექმნა და ყველა იმ დიდი თუ მცირე საკითხის მოგვარება, რომლებიც ნებისმიერ სიახლეს თან სდევს ხოლმე. 1995 წლისთვის შეიძლება ითქვას, უკვე სავსებით სრულყოფილ სამსახურად ჩამოვყალიბდით.

— და მაინც უმთავრესი ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდა იყო.

— როგორც გითხარით, ბიუჯეტი მხოლოდ 40 მილიონი იყო. მიზერული თანხა. მდგომარეობა რთული. წინააღმდეგობა კოლოსალური. გარეთ ავტომატიანი ხალხი. იმ ხალხშია ის ფული, რომელიც გადასახადის სახით ბიუჯეტში უნდა შევიდეს. „მხედრიონმა“ გემო გაუგო უშრომელ შემოსავალს და ძირითადი საწარმოო ობიექტები ხელში ჩაიგდო.

მხოლოდ ერთ ეპიზოდს მოგიყვებით, რომელიც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საწარმოო ნარჩენებთან, წიდასთანაა დაკავშირებული. წლების განმავლობაში წიდა ცარიელ ტერიტორიაზე იყრებოდა, რომელიც შემდგომში ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური უბანი გახდა. გადაასწორეს მიწის საფარით, აიგო შენობებიც. ადგილობრივმა ბაზარმა დაიწყო იქ ფუნქციონირება.

მოხდა ისე, რომ გარკვეული კატეგორიის ადამიანებმა გაიგეს, რომ წიდის გაყიდვით შეიძლებოდა დიდი ფულის შოვნა და დაიწყეს ტერიტორიიდან ამ „წიაღისეულის“ ამოთხრა. გაჰქონდათ საზღვარგარეთ, სადაც ვალუტაზე სარფიანად იყიდებოდა. ამ გზით მიღებული შემოსავლიდან აუცილებელი იყო გადასახადის აკრეფა, რაც იქაურ „ბიზნესმენებს“ ხელს არ აძლევდა. სწორედ ამის გამო სერიოზულად დავუპირისპირდით „მხედრიონის“ ხელმძღვანელობას.

მიიტანეს ეს ამბავი ჯაბა იოსელიანამდე ბინძური ჭორის სახით, თითქოს გადასახადს კი არ ვთხოვთ, არამედ ფულის გამოძალვა გვინდა. გარჩევა ბოლოს ჯაბასთან მოხდა. პირდაპირ გეტყვით, სახელმწიფო საბჭოსთან ჩემი ძველი ურთიერთობა რომ არა, ჯაბა იოსელიანს შეიძლება „გაეტარებინა“ ეს პრობლემა. მაგრამ ამჯერად მოგვისმინა, და, როგორც გონიერი კაცი, მიხვდა, რომ საქმე მართლაც ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადის აკრეფას ეხებოდა. ასე ჩავაქრეთ ეს ცეცხლი.

ასეთი თემა ბევრი იყო.

დროც ისეთი გახლდათ, რომ ყველას, ვისაც ფული ჰქონდა, ყველასთან მიესვლებოდა და არც მორიგება გაუჭირდებოდა.

— და მაინც დაძლიეთ სიტუაცია?

— დიახ. 1997 წელს წამოვედი საგადასახადოდან და დავტოვე ბიუჯეტი ერთი მილიარდი ლარის ოდენობით.

მავანი იტყვის, ეს რა არისო? დღევანდელი გადასახედიდან მართლაც ასე ჩანს, მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ 1997 წელზე, როცა ერთობლივი პროდუქტი — მშპ — მხოლოდ 7 მილიარდი ლარი იყო (ახლა 25 მილიარდია), მის შესაბამის გადასახადს ვიღებდით. მაგრამ სრულად ვერ, რადგან მაშინ ისეთი მკაცრი კანონმდებლობა, როგორიც დღეს არის, არ არსებობდა. სხვათა შორის, პირველი საგადასახადო პოლიცია, ორასი თანამშრომლის შემადგენლობით ჩვენ შევქმენით,.

მოვაგვარეთ ჩვენი ხაზით რუსეთთან ურთიერთობის საკითხი, კერძოდ, საქართველოში დაფუძნებული და რუსეთში მოღვაწე ფირმებიდან გადასახადების აკრეფის პრობლემა, რომელიც დიდი რესურსი იყო და არის ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტისთვის.

— მოდით, ისიც ვთქვათ, რომ თქვენი მოღვაწეობის პერიოდში შეიცვალა ადამიანების დამოკიდებულება გადასახადებისადმი. გაუგებარი და თითქოს არარსებული მატერიიდან თანდათან ჩვენს აუცილებელ მოვალეობად იქცა.

— ვერ გეტყვით, რომ ოთხ წელიწადში ადამიანების შეგნებაში სრულ გარდატეხას მივაღწიეთ, მაგრამ სერიოზული საფუძველი კი ჩავუყარეთ, ჯერ კანონმდებლობის შექმნით, შემდეგ მისი პროპაგანდით, სპეციალური ლიტერატურის გამოცემითა და გავრცელებით. პირველი აგური ჩვენ დავდეთ.

— გადასახადების შემოსვლის ერთ-ერთი საკითხი ხომ არის ტურიზმი?

— რა თქმა უნდა, არის. მაგრამ იმ პერიოდში არავითარი ტურიზმი არ არსებობდა. სამოქალაქო ომით და ბევრი სხვა მოვლენის გამო გაპარტახებულ ქვეყანაში ტურისტი არ შემოდის. ამაზე ფსონი არც დაგვიდვია.

ახლა სხვა ვითარებაა.

ამბობენ, რომ საქართველოში უკვე 6 მილიონი ტურისტი შემოდის. თუ დავითვლით, რამდენმა ადამიანმა გადმოკვეთა საზღვარი, ეს რიცხვი სწორია. მაგრამ ტურისტად ითვლება ის, ვინც 2-3 და მეტ დღეს დაჰყოფს ქვეყანაში. ამ პრინციპით თუ მივუდგებით, მაშინ 6 მილიონი, როგორც ამბობენ, 2-2,5 მილიონამდე მცირდება. საქართველოს ბიუჯეტის სტრატეგია ტურიზმიდან მიღებულ შემოსავალთანაც არის დაკავშირებული.

ტურიზმის განსავითარებლად პოლიტიკა განზე უნდა გადადო. შეიძლება, მაგალითად, არ მოგწონდეს მოსკოვის ყოფილი მერი ლუჟკოვი, მაგრამ მის შავ სიაში შეტანას და ამ ფაქტის აფიშირებას, რაც ჩვენებმა გააკეთეს, მოჰყვა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომლითაც, რბილად რომ ვთქვა, არ ურჩევენ რუს ტურისტებს საქართველოში ჩამოსვლას. ამას კი უეჭველად მოჰყვება რუსეთიდან ნაკადის შემცირება, იმ მილიონებსაც დააკლდება, რომლებიც პერსპექტივისთვის გვაქვს ნავარაუდევი.

ჩვენ უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობას მეორე მხარეც აქვს, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ მთავარი არა.

რას მივაწეროთ ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ჰერბერტ ზალბერის ჩასვლა სამხრეთ ოსეთში? დე ფაქტო პრეზიდენტს ბიბილოვს მიულოცა არჩევა და უთხრა, რომ თქვენ და ქართველებმა ხელი უნდა მოაწეროთ თავდაუსხმელობის პაქტსო, რასაც რუსეთი დიდი ხანია, გვეუბნება და, ამასთან, ჩვენს შემხვედრ წინადადებებს არ ეთანხმება.

თუ ევროკავშირსა და რუსეთს ერთი და იგივე მოთხოვნა აქვს, მაშინ რატომ უნდა გავამწვავოთ ჩვენ ურთიერთობა მაინცდამაინც რუსეთთან?! საერთაშორისო პოლიტიკის რომელ რგოლში — ევროკავშირში, რუსეთსა თუ საქართველოში არ არის გარკვეული ეს საკითხი?

როგორც ჩანს, ეს საკითხი ღიად არის დარჩენილი. მაგრამ ასეთი გაურკვევლობა ჩვენ გვაზარალებს, რადგან შედეგად შეიძლება მივიღოთ ემბარგოების დაწესება რუსეთში შესატან ჩვენს პროდუქციაზე, რასაც ერთგვარად თავი დავაღწიეთ, მაგრამ რამაც თავის დროზე კატასტროფულად იმოქმედა ჩვენს ეკონომიკაზე.

— კერძოდ, რას გულისხმობთ, ბატონო დავით?

— 2 მილიარდი დოლარის პროდუქციას ვაწარმოებთ სოფლის მეურნეობაში. ვყიდით 250 მილიონისას, ანუ მხოლოდ 10 პროცენტს. შემოგვაქვს მილი-

არდ 200 მილიონის პროდუქცია. მათ შორის – ხორბალი, რომელიც ერთი მილიონი ტონა გვჭირდება და ვაწარმოებთ 100 ათას ტონას; ასევე – შაქარი, კარაქი, ხილი და ხორცის 50 პროცენტი.

საექსპორტო პროდუქციის გაზრდეს შესაძლებლობა რამდენიმე პოზიციაში გვაქვს. ეს შეიძლება იყოს თხილი, ღვინო, მაგრამ უნიკალური ჯიშების ყურძნით დამზადებული, მინერალური წყლები. აქტიური პოზიციები ამით ამოიწურება.

ამ ვითარებაში ეკონომიკური ურთიერთობის დალაგება ყველა ქვეყანასთან პირველი რიგის ამოცანაა, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მაინც რუსეთთან საქმის აწყობაა.

არა მგონია, დიდი მიღწევა იყოს, მაგალითად, ჩინეთში გატანილი ჩვენი ღვინის პოტენციალის 250 პროცენტით გაზრდა. აბსოლუტურ ციფრებში თუ გადავიტანთ, გამოვა, სადღაც 70-75 ათას ბოთლამდე. ეს მაშინ, როცა დღეს რუსეთში შეგვაქვს 20-30 მილიონი ბოთლი. უწინ შეგვქონდა 300 მილიონი ბოთლი. მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, ჩაკეტილი საზღვრები და ა.შ.

ჩვენი ღვინის ბაზარი რუსეთია.

დღეს მსოფლიოში 48 მილიარდი ბოთლი იყიდება. ამ საერთო ოდენობიდან მილიარდ-ნახევარს რუსეთი მოიხმარს. ამ მილიარდ-ნახევრისთვის იბრძვიან ღვინისმწარმოებელი ისეთი ტრადიციული ქვეყნები, როგორებიცაა – იტალია, საფრანგეთი, ჩილე და ა.შ. მოკლედ – ყველა. ჩვენ კი რაც გვქონდა, იმასაც ვკარგავთ.

– „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“?

– პოლიტიკა პოლიტიკოსებმა აკეთონ, ეკონომიკას პროფესიონალებმა მიხედონ! 10 მილიარდი ლარი საქართველოს დღევანდელი ბიუჯეტის ზღვარი არ არის, მით უფრო, პერსპექტივის გათვალისწინებით: კარგად რომ ვიცხოვროთ, ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი ათჯერ და მეტად უნდა გავზარდოთ.

ქართულ ეკონომიკას ხელს უშლის სატრანსპორტო კოლაფსიც, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, თბილისში უნდა მოგვარდეს. ლოკალური ღონისძიებებით ფონს ვერ გავალთ. ტრანსპორტის ნაკადების საპატრულო პოლიციის საშუალებით რეგულირებამ დრო მოჭამა.

საქართველოში მილიონ ორასი მილიონ სამასი ათასი მანქანაა რეგისტრირებული, და ეს მასა პრაქტიკულად თბილისშია თავმოყრილი. დედაქალაქი ამის ამტანი არ არის. არ მინდა, ვინმეს ჭკუის დამრიგებლის როლში გამოვიდე, მაგრამ მგონია, რომ თბილისის შემოვლითი გზის დასრულება გამოათავისუფლებდა ქალაქის შუაზე გამყოფი რკინიგზის ზოლს და ბევრად გააიოლებდა მოძრაობის პრობლემას. მით უფრო, რომ, როგორც ვიცი, შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის 60 პროცენტი შესრულებულია.

დაწყებული, მაგრამ მიტოვებული სამუშაოების თემები ბევრია. მაგალითად რიყეზე დაგდებული ორი „ტრუბა“ გამოდგება, რომელთა შესაფერის ადგილზე გადატანას ამდენი ხანია, თავი ვერ დაადგეს. მე, მაგალითად, შევთავაზებდი ტენდერის გამოცხადებას ასეთი პირობებით: გაძლევთ ერთ ჰექტარ ფართობს ამორჩევით – დიღომში, ნავთლუღში, თემქაზე, მცხეთაში...

– მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, თუნდაც.

– სადღაც ხომ გამოდგება. ტერიტორიას გაძლევთ ერთ ლარად, ამ ნაგებობებსაც – ერთ ლარად, ოღონდ ერთი პირობით – დემონტაჟი და ახალ ადგილზე მონტაჟი თქვენ უნდა უზრუნველყოთ. ამბობენ, რომ არქიტექტორის ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანას 10 მილიონი დაჭირდება. ესეც გასათვალისწინებელია, რიყეც გათავისუფლდება და კარგადაც მოეწყობა. თორემ 20 მილიონი ლარის ღირებულების ობიექტი ცდება და მისი შენახვაც ძვირი გვიჯდება. რახან ეკონომიკის სატკივარზე ჩამოვარდა სიტყვა, ეს თემაც ეკონომიკის აქტუალური დეტალია. ქარს ნუ გავატანთ უკვე დახარჯულ სახსრებს.

ესაუბრა
არმაზ სანეგლიძე

◎ სამართალი ურმით დადის...

ისევ „ქართუ ბანკი“, ლაურა ღაჭავა და მთავარი პროკურატურა...

იურისტების საქმეში არ ვერევით, არც მათ კვალიფიკაციას და პროფესიონალიზმს ვაყენებთ ეჭვქვეშ, მაგრამ რა ვიფიქროთ მაშინ, როცა ასეთ რამეს ვაწყდებით?

2017 წლის 17 მარტს მოქალაქე გურამ ახრახაძემ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს საჩივრით მიმართა. კომიტეტმა ვადების დაცვით გადაუგზავნა წერილი პროკურატურას, საიდან მიღებული პასუხიც ასევე ვადების დაცვით, 8 მაისს დაუბრუნა ავტორს: „გრძელდება ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებაო“, – წერს შოთაძის უწყება.

არადა, ვინც ამ საქმეს იცნობს, აუცილებლად იკითხავს – რა გვჭირს ასეთი გამოუძიებელი და უსაშველოო?! ამბავი კი ისეთია, როგორც სხვა ბევრი, „იმ დროიდან“ რომ მოგვყვება და ჯერაც არავინ იცის, მართლა როდის, სად და როგორი ბოლო ექნება!

გურამ ახრახაძემ საჯარო რეესტრში შემთხვევით გაარკვია, რომ 2013 წლის ნოემბერში(?!) შპს „საქართველოს“ კუთვნილი შენობა, მიწის ნაკვეთთან ერთად ქალბატონ ლაურა ღაჭავას ერთპიროვნული, პარტნიორებთან შეუთანხმებელი გადაწყვეტილებით მთლიანად დაიტვირთა იპოთეკით „ქართუ ბანკიდან“ მიღებული(?!) 8,5 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ.

აი, ამის შემდეგ დაიწყო ის, რასაც ჩვენ „სკანდალს“ ვუწოდებთ, მაგრამ თავისი არსით კომიზმსაც რომ სცდება. სხვადასხვა ინსტანციის 6 სასამართლოსა და, რაც მთავარია, სააპელაციო სასამართლოს პრინციპულმა პოზიციამ შპს „საქართველოს“ აუქციონზე გატანა შეაჩერა. კიდევ ერთი საყურადღებო და საინტერესო ფაქტი! **„ქართუ ბანკიდან“ მიღებული ფული ლაურა ღაჭავას იპოთეკით დატვირთული საკუთარი ქონების, „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფის“ გამოსასყიდად სჭირდებოდა. მიიღო კიდეც, ოღონდ ისე, რომ ამ თანხიდან შემდგომში შპს „საქართველოს“ ერთი თეთრიც არ მოხმარებია.**

უკვე მეოთხე წელია, რაც ამ ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე ადგილიდან არ დაძრულა. წარმოუდგენელი ცინიზმი ის არის (თუმცა, სასაცილო ნამდვილად არაფერია), რომ **სასამართლოში ჩივილით გურამ ახრახაძე უნებლიეთ, თავისი წილი ქონების უკანონოდ დამგირავებლის ლაურა ღაჭავას... „მოკავშირედ“ და მხსნელად იქცა(?!): გ. ახრახაძის სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ, როცა იგი დაზარალებულად**

ცნეს, „ბანკ ქართუს“ ღაჭავას ვალის გადაუხდელობის გამო ქონების ჩამორთმევაზე აღსრულება შეუჩერდა! ასეთმა „მოკავშირეობამ“ სასამართლო დავის „მომგებ“ ახრახაძეს ის მოუტანა, რომ იგი აქამდე რჩება თავისი უკანონოდ დაყადაღებული ქონების დაბრუნების იმედად, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელემ (ახრახაძემ) მტკიცების ყველა გარემოება უტყუარად დაადასტურა.

სესხის არამიზნობრივი გაცემის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმე კი მეოთხე წელია, „ყოველმხრივი, სრული და ობიექტური“ გამოძიების ობიექტია(?!)

პროკურატურის საქმეში არა, მაგრამ ზოგადად, სიტუაციაში გარკვევის მიზნით მოკრძალებულად რომ ვიკითხოთ, მართლა რა სჭირს ამ საქმეს ამდენი საჩხრეკ-საძიებელიო, ძალიან დავაშავებთ? უფრო მეტად შევლახავთ ვინმეს თავმოყვარეობას და ღირსებას, ვიდრე

ამას წინათ ვიკითხეთ და იძულებული ვართ ისევ გავიმეოროთ: ძველებურად უნდა გვღრღნიდეს ეჭვის ჭია, რომ შეგნებულად თუ შეუგნებლად პროცესებს ისევ გავლენიანი სტრუქტურებისა და გვარების წინაშე ქვეცნობიერი შიში მართავს?!

ცამდე მართალი ადამიანის (ამას აღძრული საქმე ადასტურებს) ღირსებაა შელახული, ვიღაცის ცინიზმისა და დაუსჯელობის გამო?! რატომ გნებავთ ის ვიფიქროთ, რაც არ გვინდა?! ისევ „ძველებურად“ ვიმსჯელოთ?!

ამას წინათ ვიკითხეთ და იძულებული ვართ ისევ გავიმეოროთ: ძველებურად უნდა გვღრღნიდეს ეჭვის ჭია, რომ შეგნებულად თუ შეუგნებლად პროცესებს ისევ გავლენიანი სტრუქტურებისა და გვარების წინაშე ქვეცნობიერი შიში მართავს?! (მე პირადად დარწმუნებული ვარ, რომ ეს მათი აქტიური ჩარევის გარეშე ხდება).

...საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ: პროკურატურას პროფესიონალები არ აკლია და ამიტომაც, ორმაგად გასაკვირია ეს ოდისეა. საკითხავია, როდის გაგვცემენ საბოლოო პასუხს გამომძიებელი **ნინო დარბაიძე** და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსი **ლერი ბარნაბიშვილი?!**

საზოგადოების განწყობის მართვასაც საგანგებო „პროფესიონალიზმი“ სჭირდება. მით უფრო, როცა ყველამ იცის, რომ სიტყვა „ქართუ“, წარმოთქმისთანავე, ერთი ადამიანის სახელთან ასოცირდება. ასეთი ფაქტების შემყურე კი, ვერც იმაზე დავიფიცებთ, რომ „ქართუ ბანკშიც“ ყველა პირნათელია იმ ერთი პერსონის მიმართ და თუ ასეა, არც პროკურატურას უნდა ჰქონდეს რომელიმე ბანკირის თუ ჩინოვნიკის მიმართ კოჭის გორების სურვილი და განწყობა, პირიქით!

ისიც გაგვიგონია, რომ „სამართალი ურმით დადის“, მაგრამ „საურმე“ გზასაც ბოლო აქვს და ყველა და ყველაფერი, რაც დადის, ბოლოს სადღაც ჩერდება.

მერაბ გუგუნაძე

მუნიციპალიტეტებში ღრეობებზე ათასობით ლარი იხარჯება

აუდიტის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, მუნიციპალიტეტებს სათანადოდ არ აქვთ დასაბუთებული მიღებების, ფურშეტების, წვეულებებისა და სარესტორნო მომსახურებაზე გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების საჭიროება. მათივე ინფორმაციით, არ არის იდენტიფიცირებული სტუმრების ვინაობა და რაოდენობა. ასევე, თანხები დახარჯულია სახელმწიფო უწყებების სხვადასხვა თანამდებობის პირების კვების ორგანიზებისათვის.

„მაგალითად, 2013-2014 წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლიდან რესტორნის მომსახურებაზე დაუსაბუთებლად არის გაწეული 21.5 ათასი ლარი. 2014-2015 წლებში, ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულება იმის შესახებ, თუ რა სახის ღონისძიებასთან დაკავშირებით იქნა გაწეული 14.2 ათასი ლარის ოდენობის სარესტორნო ხარჯი“, – აღნიშნულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშში.

* * *

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემოწმებულ რამდენიმე მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო სახსრები დახარჯულია ისეთ პროექტებზე, რომლებიც დასრულებული არ არის.

„მაგალითად, 2014-2015 წლებში მართვილის მუნიციპალიტეტის მიერ სოფლის

მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, შესყიდულია 4 საბავშვო ბაღის მშენებლობის, ელექტროწისქვილის მოწყობის, ტრანსფორმატორის შეძენა-მონტაჟის სამუშაოები - ღირებულებით 212 ათასი ლარი. 2016 წლის ივნისის მდგომარეობით, პროექტი არ იყო დასრულებული და ვერ სარგებლობდა მოსახლეობა. 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 92.0 ათასი ლარის სარიტუალო სახლების, წყლის სისტემებისა და წისქვილების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც 2015 წლის ივლისის მდგომარეობით დასრულებული არ იყო და ვერ სარგებლობდა მოსახლეობა“, – ნათქვამია აუდიტის სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშში.

ანგარიში პარლამენტს უკვე წარედგინა. 137 გვერდისგან შემდგარი დოკუმენტის ინიცირება ბიუროს დღევანდელ სხდომაზე მოხდა.

პატარა და სუსტი ქვეყნის უბედური სტუმრები

ბაქოს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა ჟურნალისტ აფგან მუხთარლის, რომელსაც „საზღვრის უკანონო გადაკვეთა“ და „ფულადი თანხის კონტრაბანდა“ ედება ბრალად. ამ ბრალდებით აზერბაიჯანი გვეუბნება ჩვენც და მთელს მსოფლიოსაც, რომ ეს ჭარმაგი, ჭკუადამჯდარი ადამიანი, საკმაოდ გამოცდილი ჟურნალისტი და ოპოზიციონერი, მოულოდნელად შეიშალა, პასპორტი სახლში დატოვა და მიაშურა სამშობლოს, თუმცა ზუსტად იცოდა, აუცილებლად დააპატიმრებდნენ.

აქ ის კი არ არის საინტერესო, რამდენად „ფეიკურია“ ბრალდება, არამედ დამოკიდებულება. და ამგვარ „დამოკიდებულებაში“ ყველაზე ზუსტად ჩანს, რა განსხვავებაა ჯერ კიდევ (საბედნიეროდ) საქართველოსა და მეზობელ, მეგობარ, პარტნიორ ქვეყანას შორის.

რაც შეეხება მუხთარლის გატაცებას, მედიაში და ექსპერტულ წრეებში ორი ვერსია განიხილება. **პირველის თანახმად, ქართულმა და აზერბაიჯანულმა სპეცსამსახურებმა მოილაპარაკეს: ქართველებმა გაიტაცეს ჟურნალისტი თბილისის ცენტრიდან, მიიყვანეს საზღვრამდე ხელებშეკრული, იქ გადასცეს აზერბაიჯანელ „კოლეგებს“ და ასე აღმოჩნდა ოპოზიციონერი ბაქოს იზოლატორში.**

მეორე ვერსია, კაცმა რომ თქვას, კიდევ უფრო კატასტროფულია: **აზერბაიჯანულმა სპეცსამსახურებმა დაგეგმეს ოპერაცია ისე, რომ ქართულ მხარეს არაფერი შეატყობინეს, მოიტაცეს ადამიანი დედაქალაქის ცენტრიდან და გადაიყვანეს აზერბაიჯანში.**

უკანასკნელი ვერსია ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ნებისმიერი სპეციალისტი, ვინც ოდნავ ჩახედულია (თეორიული ემპირიკის დონეზე მაინც) სპეცსამსახურთა „მეთოდიკაში“, აუცილებლად გეტყვით: ამგვარი რამ ჩვენს განსახილველ შემთხვევაში აბსოლუტურად გამორიცხულია. ოღონდ იმიტომ კი არა, თითქოს მსოფლიოში არ ყოფილა შემთხვევა, რომელიღაც ქვეყნის სპეცსამსახურებს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მოეტაცათ „ობიექტი“. რამდენიც გნებავთ იმდენი მომხდარა და ახლაც ხდება. მაგრამ სპეცსამსახურები ამაზე მხოლოდ მაშინ მიდიან, თუ თანამდევი რისკები მოსალოდნელ სარგებლად „უღირთ“.

მაგალითად, **როდესაც ისრაელის „მოსადმა“ არგენტინაში ნაცისტი დამნაშავე აიჰმანი მოიტაცა, თელავივში ჩაიყვანა და იერუსალიმის ციხეში ჩამოახრჩო, ეს ისრაელისთვის იმდენად მნიშვნელოვანი აქტი იყო, არგენტინასთან (მით უმეტეს შორეულ არგენტინასთან!) ურთიერთობების შესაძლო გართულება დიდად არ ანაღვლებდათ და ნებისმიერი რისკის ფასად „ულირდათ“.**

ზოგადად, ამგვარ აქციებს სპეცსამსახურები ფარულად და „ადგილობრივ კოლეგებთან“ შეუთანხმებლად ახორციელებენ მხოლოდ მტრული ან არამეგობრული სახელმწიფოების ტერიტორიაზე. ან კიდევ იმ ქვეყნებში, რომელთანაც ურთიერთობების გაფუჭება რაიმე პრობლემას არ შეუქმნით. მოკავშირეები და პარტნიორები კი ასე არ იქცევიან. მით უმეტეს, განსახილველ შემთხვევაში რისკი მეტისმეტად მაღალი იყო: ვინ გასცემდა გარანტიას, რომ თბილისის ცენტრიდან მოტაცებული ადამიანის საზღვარზე გადაყვანისას იქ რაიმე ინციდენტი არ მოხდებდა, ქართველი მესაზღვრეები ვერაფერს შენიშნავდნენ, ცეცხლს არ გახსნიდნენ და ა.შ? მერედა, იქ რომ ქართული მხრიდან ორმხრივ სროლაში ვინმე მომკვდარიყო, ეს უკვე ძალიან საშიში სახელმწიფოებრივი ინციდენტი გახდებოდა.

გარდა ამისა, არ დაიჯეროთ, თითქოს აზერბაიჯანთან ე.წ. „მწვანე საზღვარი“ იმდენად დაუცველია საქართველოს მხრიდან, უპრობლემოდ და ურისკოდ შეიძლება იქ ადამიანის გადაყვანა; მით უმეტეს ხელფეხშეკრულისა და თავზე ტომარაწამოცმულის. მთლად ასეც არ დაგლახავებულა ქართული სახელმწიფო და მისი სტრუქტურები.

* * *

თითქმის 100%-იანი დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლება უბრალოდ იძულებული გახდა დამორჩილებოდა ბაქოს ულტიმატუმს: „ან გადმოგვცემთ მაგ ჟურნალისტსა და ოპოზიციონერს, ან თქვენი უარით, სერიოზულად დააზიანებთ აზერბაიჯანულ-ქართულ ურთიერთობებს!“.

იმ ვითარებაში, როდესაც ქვეყანა ტოტალურად აზერბაიჯანულ გაზზეა დამოკიდებული, ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, „ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა“.

თუმცა სწორედ აქ ჩანს უმძიმესი შეცდომა და არაპროფესიონალიზმი: **ნუთუ ძნელი გასათვლელი იყო, რომ „ალიევთა რეჟიმის“ შეურიგებელი კრიტიკოსის თავშეფარება საქართველოს ტერიტორიაზე, ადრე თუ გვიან, პრობლემებს შექმნიდა და ქვეყანას დააყენებდა „ცუდსა და უარესს შორის“ არასასურველი არჩევანის წინაშე. განა ასეთი რთული იყო, ორი წლის განმავლობაში, ანუ ჯერ კიდევ აზერბაიჯანულ ულტიმატუმამდე, მოლაპარაკება იმავე საერთაშორისო ჟურნალისტურ ორგანიზაციებთან და ფარული შეთანხმება ავსტრიის, ან ნებისმიერი სხვა ევროპული ქვეყნის მთავრობასთან, რათა მუხთარლის იმ ქვეყნისთვის (ავსტრიისთვის, შვეიცარიისთვის, ბრიტანეთისთვის და ა.შ) შეეფარებინა თავი, რომლებიც არასდროს ეუბნებიან უარს დევნილ ჟურნალისტებს?**

წაეყენებინა მერე ბაქოს ულტიმატუმები „მისი უდიდებულესობის მთავრობისთვის“. იმასაც ვნახავდით, რა პასუხს მიიღებდა.

„ეს დიდ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული და მუხთარლი მაშინ ჩვენ უნდა გვერჩინა უცხოეთშიო“ — რა ისეთ ხარჯებთან, რაც ამ სამარცხვინო სიტუაციის თავიდან აცილებად არ ღირდა? ნუთუ საქართველოს ხელისუფლებამ მუხთარლის არ შესთავაზა ასეთი გამოსავალი, როგორც კი შეატყო, ბაქოში ნერვიულობდნენ? და თუ შესთავაზა, ის რატომ იტყოდა უარს?

დაახლოებით ასეთივე ვითარებაა „დემირელის კოლეჯის“ დირექტორთან დაკავშირებით. ანკარა გვიყენებს ულტიმატუმს: ან ჩვენთან ურთიერთობა, ან მისი გაწირვა! **როგორც ჩანს, ამ ჩვენს პატარა და სუსტ ქვეყანას, ადრე თუ გვიან, აძაც მოუწევს მძიმე არჩევანის გაკეთება „ცუდსა და უარესს შორის“.**

* * *

საზოგადოების აღშფოთება აბსოლუტურად გასაგებია. მაგრამ მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლების სისუსტით ამ უბედურების ახსნა არ გამოვა. არ გამოვა, რადგან ელემენტარული არაობიექტურობა და უსინდისობა იქნება.

აბა გავიხსენოთ: 2004 წელს საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოსკოვში გაემგზავრა პუტინთან შესახვედრად. მანამდე მან განაცხადა, რომ მისი წინამორბედი ედუარდ შევარდნაძე, თურმე „მოულაპარაკებადი“ (რუსულად თქვა: „Недоговороспособный“) იყო, ხოლო მიშა, შევარდნაძისგან განსხვავებით, „აუცილებლად მოახერხებდა პუტინთან საერთო ენის გამონახვას“.

პუტინმაც, კრემლში შეხვედრისას, წაუყენა ულტიმატუმი: **„გადმოგვეცით ორი ჩეჩენი ლტოლვილი, რომელთაც ჩვენ ტერორიზმში ვადანაშაულებთ“. შეგახსენებთ: პუტინისთვის მაშინ ლამის ყველა ჩეჩენი „ტერორისტი“ იყო. თუმცა ნიშანდობლივია, რომ იმ ორი ჩეჩენის საქმე საქართველოს სასამართლომ განიხილა, რუსული პროკურატურის „მტკიცებულებები“ შეისწავლა და ორივე აბსოლუტურად გაამართლა!**

პრეზიდენტ სააკაშვილის თბილისში დაბრუნებისთანავე, ქართულმა სპეცსამსახურებმა ორივე ეს ჩეჩენი მოიტაცეს, ლარსის საზღვარზე მიიყვანეს და რუსებს გადასცეს. ჩეჩენი ლტოლვილები შემდეგ „ჩერნოკოზოვოს“ საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს, სადაც ერთი მათგანი წამებით გარდაიცვალა კიდეც. თუმცა მაშინ ამ ისტორიას „რატომღაც“ განსაკუთრებული რეზონანსი არც იმდროინდელ მედიაში, არც არასამთავრობო სექტორში, არც საზოგადოებაში არ მოჰყოლია.

„ტერორიზმის“ ყალბი ბრალდებები საქართველოს სასამართლომ უარყო და ამ დემაგოგიური არგუმენტის მოშველიება („აქ ჟურნალისტია, იქ კი ტერორისტები იყვნენო“) არ გავა: ორივე შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობა ერთნაირად დაირღვა!

კიდევ ერთი შემთხვევა: **2010 წელს, საქართველოში გაუჩინარდა ირანელი მეცნიერი, რომელიც ტურისტად ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში. მოგვიანებით მან ოკეანის გაღმა ამოჰყო თავი ციხიდან, ხოლო ისრაელის პრესა აქტიურად წერდა, რომ ხსენებულ ირანელს თეირანის „ბირთვულ პროგრამასთან“ ჰქონდა საქმე და ამიტომ იყო „საინტერესო“.**

არც მაშინ ყოფილა საქართველოში რაიმე განსაკუთრებული პროტესტი, არადა, გაუგებარია, განა სამივე შემთხვევა ქვეყნის სუვერენიტეტის და კანონმდებლობის ერთნაირი დარღვევა არ არის?

„ისინი მეგობარი ქვეყნებიაო“ და აზერბაიჯანი საქართველოს მეგობარი სახელმწიფო არ არის?

სინამდვილეში, რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს, ამჟამინდელი და წინა ხელისუფლებაც სამივეჯერ მოქმედებდა ჩვენი პატარა, სუსტი, დაუცველი, უმწეო ქვეყნის შესაძლებლობათა გათვალისწინებით იმ სასტიკ და აღვირახსნილად ცინიკურ მსოფლიოში, რომელშიც ვცხოვრობთ.

ნიკა იმნაიშვილი

შეცდომაცაა და შეცდომაც...

ფილიპინების ავიაციამ შეცდომით საკუთარი პოზიციები დაბომბა. ინციდენტი ქალაქ მარავიში მოხდა, რომელიც ორ კვირაზე მეტია, ისლამისტთა კონტროლქვეშ იმყოფება. ავიაიერიშის შედეგად 10 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. შეტაკებები სამთავრობო ძალებსა და ისლამისტებს შორის მარავიში უკვე ერთი კვირაა, გრძელდება.

იაპონიამ კოსმოსში თანამგზავრი გაუშვა

იაპონიამ საკუთარი გლობალური მდებარეობის განმსაზღვრელი სისტემის შექმნის სამუშაოების ფარგლებში კოსმოსში თანამგზავრი გაუშვა. „მიჩიბიკი“-ს სახელწოდების თანამგზავრი თანეგაშიმას კოსმოსური ცენტრიდან გაუშვეს.

ქვეყნის კოსმოსურ სააგენტოში გაკეთებული განცხადების თანახმად, მომდევნო წელს კიდევ ორ თანამგზავრს გაუშვებენ, რითიც იაპონიის გლობალური მდებარეობის განმსაზღვრელი სისტემა დასრულდება. იაპონია ამჟამად ისევ ამერიკული გლობალური მდებარეობის განმსაზღვრელ სისტემას იყენებს.

საფრანგეთის ხელისუფლებას აკრიტიკებენ

საფრანგეთის ხელისუფლება ქვეყანაში გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობას მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ იყენებს. ამის შესახებ „ამნესთი ინთერნეიშენალის“ დასკვნაშია ნათქვამი. ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციის მტკიცებით, საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ხელისუფლებამ ასობით კანონი გამოსცა, რომელიც საჯარო აქციებსა და მანიფესტაციებს კრძალავს. საგანგებო მდგომარეობის ვადა საფრანგეთში 15 ივლისს იწურება, თუმცა პრეზიდენტი მაკრონი მის გაგრძელებას აპირებს.

რუსეთიდან ესტონელ და მოლდოველ დიპლომატებს აძევებენ

მოსკოვი ტალინსა და კიშინიოვს რუსი დიპლომატების გაძევებაზე ადეკვატურად პასუხობს. ლავროვის უწყებამ ქვეყნის დატოვება ორ ესტონელ და ხუთ მოლდოველ დიპლომატს მოსთხოვა. მანამდე მოლდოვამ ხუთი რუსი დიპლომატი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა, ესტონეთის ტერიტორია კი ორ რუს დიპლომატს დაატოვებინეს.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ახალი პრეზიდენტი აირჩია

72-ე სესიაზე პრეზიდენტის პოსტზე სლოვაკი დიპლომატი მიროსლავ ლაიჩაკი აირჩიეს. ის ერთადერთი კანდიდატი იყო. მას მხარი ასამბლეის 193 წევრმა დაუჭირა. ლაიჩაკი ამჟამად სლოვაკეთის საგარეო და ევროპის საქმეთა მინისტრია. 1994-1998 წლებში იყო სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში, 2016 წელს კი კენჭი იყარა გაეროს გენერალური მდივნის თანამდებობაზეც. მიროსლავ ლაიჩაკი გენერალური ასამბლეის მოქმედ პრეზიდენტ პიტერ ტომსონს შემოდგომაზე დაგეგმილ სესიაზე შეცვლის.

◎ ახალი წიგნი

საიათნოვა ეროვნებით აზერბაიჯანელი ყოფილაო

აგერ საუკუნე-ნახევარზე მეტია, საიათნოვას ბიოგრაფია და პოეზია მეცნიერთა კვლევა-ძიების ობიექტია. ამ ხნის მანძილზე გამოითქვა მრავალი საფუძვლიანი და უსაფუძვლო მოსაზრება თუ ვარაუდი საიათნოვას ბურუსით მოცული ბიოგრაფიის შესახებ. მაგრამ ამდენი კვლევა-ძიების მიუხედავად, დღემდე აშუღის დაბადების თარიღიც არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად...

ქართულ სამეცნიერო და მკითხველ საზოგადოებას უნდა ვამცნო, რომ ახალი ეტაპი დაიწყო საიათნოვამცოდნეობაში. საქმე ის არის, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე მიღებული აზრი საიათნოვას სომხობის შესახებ, უარყოფილია და წამოყენებულია ახალი შეხედულება – საიათნოვა იყო ეროვნებით აზერბაიჯანელი, სარწმუნოებით – მაჰმადიანი.

ახალი შეხედულების ავტორები არიან პროფ. ემირ-ზადე და პროფ. სარრა სარაბლი, რომელთაც გამოსცეს ვრცელი მონოგრაფია „საიათნოვა. 400-გვერდიანი წიგნი რუსულ ენაზეა გამოცემული.

ავტორები წიგნის შესავალშივე აცხადებენ, რომ საიათნოვა იყო მუსლიმი, მართლმორწმუნე მაჰმადიანი და ეროვნებით აზერბაიჯანელი – „საიათნოვამ თავისი ეროვნება (აზერბაიჯანელობა) დაშიფრულად გადმოსცა ლექსებში. ამავე დროს, საიათნოვა ეკუთვნოდა სეიდაბის საპატიო, დიდებულ გვარს, რომლებიც წინასწარმეტყველ მუჰამედის შთამომავლები იყვნენ“.

ე.ი. საიათნოვა მუჰამედის მონაგარი იყო.

ავტორები აგრეთვე აცხადებენ, რომ მათი წიგნი არის პირველი ნაბიჯი საიათნოვამცოდნეობაში, რომელშიც მეცნიერულად არის დადგენილი დიდი აზერბაიჯანელი პოეტი-სუფიის – საიათნოვას ნამდვილი ეროვნება. აშუღის აზერბაიჯანელობას სომეხი მეცნიერები 160 წელი უმალავდნენ საზოგადოებას თავიანთ მონოგრაფიებსა და გამოკვლევებში. მათ მიაღწიეს იმას, რომ საიათნოვას ჭეშმარიტი ეროვნება – აზერბაიჯანელობა გააყალბეს და სომხად გამოაცხადეს.

ისინი საგანგებოდ აღნიშნავენ – რომ დიდი პოეტი-სუფია ნასიმ ხალაჯი სიკვდილით დასაჯეს, საიათნოვა კი ძალად გამოკეტეს სომხურ მონასტერში და მთელი 30 წლის მანძილზე ეს მაჰმადიანი ადამიანი ტანჯვა-წამებით ცხოვრობდა, მაგრამ არ უარუყვია ისლამი და არ მიუღია სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება.



პროფ. ემირ-ზადე და პროფ. სარრა სარაბლი იმედს გამოთქვამენ, რომ მათი მონოგრაფია პირველი ნაბიჯი იქნება საიათნოვას ჭეშმარიტი ბიოგრაფიის მეცნიერულად დადგენის გზაზე. ისინი ფიქრობენ, რომ ხარუტა სეიდ-საიათნოვა კუთვნილ ადგილს დაიკავებს მისი დიდი წინაპრების – ნიზამის, ხაკანის, ფიზულისა და ნასიმის გვერდით.

ბონდო არველაძე

◎ წარუმატებელი სპექტაკლი

„სიყვარულის ნექტარი“ თბილისის ოპერაში

მაისის მიწურულს თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრმა დონიცეტის „სიყვარულის ნექტარის“ ერთი სპექტაკლის დადგმა შემოგვთავაზა. მაინტრიგებელი იყო როგორც დამდგმელი რეჟისორის სახელი ფერნანდო ბოტერო, ასევე შემსრულებელთა დასი – ცენტრალურ პარტიებში უცხოელი მომღერლები იყვნენ გამოცხადებული. გარდა ფართოდ აღიარებული იტალიელი ბას-ბარიტონ მიკელე პერტუსისა, სხვა მომღერლების გვარები მაინცდამაინც არაფრის მთქმელი იყო. ჩემმა ინტუიციამ, ამგვარი სპექტაკლების დასწრებისაგან თავის არიდებისა, არ იმუშავა – „აიდასა“ და „კარმენის“ იმედისმომცემი წინა წარმოდგენების გამო ამ სპექტაკლზეც კარგი განწყობით მივედი. თავდაპირველად, კვირის დასაწყისშივე, ელექტრონულად მივმართე პრესასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს აკრედიტაციისთვის, მაგრამ მისგან პასუხი ვერ მივიღე, აქამდე ჩვენს შორის დამყარებული მიმოწერა ჩვეული ნორმა მეგონა და მეწყინა უპასუხოდ რომ დავრჩი, მაგრამ რატომ? განა ნაცნობი არ არის ამ მხრივ ის უდარდელობა (თუ არ ვიცი, რა დავარქვა), რაც აქამდეც სუფევდა ოპერაში? მიუხედავად გამოცდილებისა, მართალი გითხრათ, ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ოფიციალურმა პირმა ასე „არარაობაში“ გადაუშვას აკრედიტაციის მოთხოვნა. შოკი, როგორც იქნა, გადავლახე, გავეშურე სალაროსკენ და შევიძინე ბილეთი, რომლის ფასიც დღევანდელი დღისათვის არავითარ დემოკრატიულობაზე არ მიუთითებდა, ნეტავ მაცოდინა, ბილეთების ფასის დადგენისას რას ეყრდნობა საოპერო თეატრი – მხოლოდ მდიდარი მეცენატების პარტერში და ლოჟებში განთავსებას, მაშინ, როდესაც არანაირი საშეღავათო სისტემა არ არსებობს თუნდაც მოსახლეობის რაიმე კატეგორიზაციის საფუძველზე?

ზედა იარუსის პირველი რიგიდან ჩვენი კოპწია, მყუდრო და ლამაზი თეატრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სცენაც კარგად მოჩანდა და ხმაც კარგად აღწევდა – ორკესტრი კი ისევ ყრუდ და მათ შორის ჩასაბერი ინსტრუმენტები მეტისმეტად მკრთალად ისმოდა.

დადგმა ნამდვილად თვალწარმტაცი გამოდგა – უხვი დეკორაციებითა და პერსონაჟებით და ოდნავ გადატვირთული დეტალებით მაყურებელს XIX საუკუნის ტრადიციული ევროპული საცირკო (Circo Atayde) წარმოდგენის ატმოსფერო შეუქმნეს. იქ ჟონგლიორები, აქ ერთბორბლიან ველოსიპედზე მჯდომი აკრობატი, იქით კი გრძელ ჯოხებზე ამხედრებული ჯამბაზები. ბუფონადა და იუმორი სპექტაკლს არ აკლდა – ცირკს სცენაზევე ჰყავდა მაყურებელი – ქალაქის მაცხოვრებლები და კათოლიკური ეპისკოპოსიც კი!

ლამაზი გუნდის შემდეგ ოპერა ნემორინოს არიით იწყება – არგენტინელ ტენორს **პაბლო კარამანს** არც ლამაზი, არც ძლიერი ხმა ჰქონდა. ზედა რეგისტრშიც კი დახშულად ისმოდა. არც ადინას შემსრულებლის – ესპანელი მომღერლის **მარიოლა კანტარეროს** ხმა მოგხიბლავდათ – სუბრეტკების როლისათვის უფრო შესაფერ ზედა რეგისტრში მისი ხმა უსიამოვნოდაც კი ჟღერდა.

ბელკორეს გამოჩენა კომიკური იყო – საბრალოს ჯერ ადინა უარყოფს, რომლის მიმართ ლომების მომთვინიერებლის კოსტიუმში გამოწყობილი ყოყლოჩინა ბელკორე სიყვარულის გრძნობით არის გამსჭვალული, არც ასისტენტები დაინდობენ, რადგან „გალანტური“ არიის დროს მათი მოუქნელობის გამო მას ფეხებზე 100კგ გირა დაეცემა.

თავის კოლეგებზე უფრო პოპულარული, იტალიელი ბარიტონი **მარიო კასი** წლეულს ვენისა და დრეზდენის საოპერო სცენებზე მოცარტის ოპერებში ცენტრალურ პარტიას ასრულებდა, ბელკორეს პარტიაში აქამდე ევროპის საუკეთესო სცენები მოიარა. ამის მიუხედავად, ფიორიტურებში ხმა მძიმედ ემორჩილებოდა, რის გამოც სიმღერის ტემპს აგდებდა. ყველაზე ეფექტური ექიმი დულკამარა აღმოჩნდა – **მიკელე პერტუსი** ჩინებულ ფორმაში იყო – ხმა თავისუფლად მოედინებოდა და სრულად ავსებდა ოპერას, არც ერთი ბგერა და პასაჟი არ ჩავარდნილა, ზედებიც თავისუფალი ჰქონდა. რაღაც მომენტში პირველი აქტის არიაში Udite, udite, o rustici დარბაზში შუქი ჩაქრა და მოხერხებული დულკამარა აქაც არ დაიბნა – ქართულად წამოიყვირა შუქიო და შუქიც აინთო!

ძალზე დასანანი ის იყო, რომ სპექტაკლი წარსული საუკუნის 60-იანი წლებისთვის დამახასიათებელი დიდი კუპიურებით სრულდებოდა. მეორე აქტი კი რატომღაც სწრაფად დასრულდა – პაბლო კარამანიმ ნემორინოს რომანსში Una furtiva lagrima ხმას ოდნავ მოუმატა, ადინა კი ფინალურ დუეტში იმდენად გააქტიურდა, რომ უცნაური მაღლებით აპლოდისმენტებიც კი მოსტაცა მსმენელს. მაგრამ ეს იყო და ეს. ჩვენი გუნდი ვოკალურად ორკესტრს რამდენჯერმე საგრძნობლად ჩამორჩა. ჯანეტას როლში კი **თამთა კორძაია** დიდად არ ჩამოუვარდებოდა მარიოლა კანტარეროს.

სამწუხაროდ, დადგმამ საერთო შთაბეჭდილებით დონიცეტის ულამაზესი მუსიკის სასარგებლოდ არ იმუშავა, სცენოგრაფიამ და კოსტიუმებმა გადასძლიეს მუსიკალური ფონი და ბოლო ათწლეულში, პირველად ჩემს მეხსიერებაში, მეტად გულგატეხილი დავრჩი – მუსიკის სიდიადე საგრძნობლად დაიჩრდილა. და ამ უსიამოვნო შედეგში მუსიკოსებს და მომღერლებსაც არცთუ მცირე როლი მიუძღოდათ...

დავით გიგინეიშვილი

◎ ზეიმი დედოფლისწყაროში

„პურისა და ღვინის“ ფესტივალი ქიზიყში

საზღვრისპირა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მრავალფეროვანი ღონისძიებით აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისი.

მთელი კვირის განმავლობაში ყველგან შეხვდებოდით სპეციალურად დამზადებულ აფიშას, რომელიც მოსახლეობას იწვევდა „პურისა და ღვინის“ ფესტივალზე, რომელიც მიეძღვნა დამოუკიდებლობის 26-ე წლისთავს. მუნიციპალიტეტის სოფლებმა და ადგილობრივმა მეწარმეებმა საკუთარი პროდუქცია წარმოადგინეს. სპეციალურმა ჟიურიმ სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები გამოავლინეს და ფასიანი საჩუქრებით და სიგელებით დააჯილდოვეს.

„მეტრის“ ნომინანტის, სერტიფიცირებული მეღვინის, საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსის გოდერძი გონაშვილის კერძო პავილიონში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ჯიშის ყურძნისაგან დამზადებული ღვინოები. განსაკუთრებით რქაწითელი და საფერავი მოსწონთ ტურისტებს“, – გვეუბნება ბატონი გოდერძი.

პავილიონში რძის პროდუქტების სასიამოვნო სურნელი იგრძნობოდა, სტუმრებისა და ადგილობრივთა სვლა არ წყდებოდა... ყველა აგემოვნებდა „მოდებაძე კომპანიის“ (დამფუძნებელი – წარმატებული მეწარმე, სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული ზეინალ მოდებაძე) და შპს „შირაქის“ (დამფუძნებელი – ნიკოლოზ ბენიაიძე, რომელიც ქართულ ბაზარზე გამოჩნდა 2007 წელს) ნატურალური რძის პროდუქტების ნაწარმს. ეს კომპანიები რამდენიმე წელია, ინარჩუნებენ საქართველოს მასშტაბით დარგის ლიდერის პოზიციას და მათი პროდუქცია იყიდება დედაქალაქის სპეციალიზებულ ჯიხურებსა და სუპერმარკეტებში.

ქალაქის ცენტრალურ, რუსთაველის ქუჩაზე სოფლების მიერ მოწყობილი პავილიონები, ეთნოგრაფიული კუთხეები და დედოფლისწყაროელი მხატვრების გამოფენა დაათვალიერეს მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს ხელმძღვანელებმა, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ, საქართველოს პარლამენტის წევრმა დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მაჟორიტარმა ირაკლი შიოლაშვილმა.

გაიმართა სპორტული ღონისძიებები, ხოლო კულტურის სახლში ჩატარდა დიდი გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა კონკურსებში და ფესტივალებში გამარჯვებული ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები (ხელმძღვანელები – ალექსანდრე გაბრიელაშვილი, ნინო ნიკვაშვილი, დალი ელისაშვილი, გელა გველუკაშვილი და სხვები). ფესტივალი დასრულდა ახალგაზრდული დისკოთეკითა და ფეიერვერკით.

ნანა ჭიჭინაძე

უკრაინაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საზეიმოდ აღინიშნა

კიევში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 26-ე წლისთავთან და უკრაინასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით საზეიმო მიღება გაიმართა, რომელზეც სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მიხეილ უკლებამ და უკრაინის ვიცე-პრემიერ-მინისტრმა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში ივანა კლიმპუშ-ცინცაძემ.

ღონისძიებაზე ცნობილმა ორკესტრმა „კიევ-კლასიკ“ სტუმრებისთვის ქართული და უცხოური კლასიკური ნაწარმოებები შეასრულა. საზეიმო მიღებას ესწრებოდნენ უკრაინის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების, კიევში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, მასმედიის, არასამთავრობო სექტორისა და უკრაინაში ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

გარდა ამისა, კიევში, ქართულ რესტორანში, გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია, რომელიც ასევე ჩაატარა ცნობილმა სომელიემ ჟერარ ბასემ. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს ელჩმა მიხეილ უკლებამ და კომპანიის „GWS“ აღმასრულებელმა დირექტორმა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, უკრაინის დედაქალაქში გაიმართა მე-8 ქართული კულტურის საერთაშორისო ფესტივალი. საზეიმო კონცერტში მონაწილეობა მიიღო კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრთან „იბერიელი“ არსებულმა ქართული ცეკვის ანსამბლმა. კონცერტი გახსნა თბილისიდან მოწვეულმა ქართულმა მუსიკალურმა კოლექტივმა „ირიაო“.

◎ მოვლენის წინ

„რეალი“ - „იუვენტუსი“: ფაქტები, სტატისტიკა, ისტორია

საფეხბურთო სამყაროს ყურადღება ახლა მთლიანად უელსის დედაქალაქ კარდიფისკენაა მიპყრობილი, სადაც, ხვალ უეფას ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაიმართება და ამით 2016-2017 წლების საკლუბო სეზონი დასრულდება.

სწორედ ეს შეხვედრა გასცემს პასუხს კითხვაზე – „იუვენტუსი“ თუ „რეალი“? მაგრამ მანამდე კი გავეცნოთ საინტერესო სტატისტიკას, ფაქტებს, ისტორიას...

ფაქტები

„რეალს“ მიმდინარე გათამაშებაში ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი, ხოლო „იუვენტუსს“ – ყველაზე ნაკლები გაშვებული.

ორივე გუნდისთვის ბოლო წლებში ფინალი „ნაცნობი ხილია“ – „რეალი“ მოქმედი ჩემპიონია და 2014 წელსაც იგივე მოახერხა, ხოლო „იუვენტუსმა“ 2015 წელს „ბარსელონასთან“ წააგო.

ეს გუნდები ჩემპიონთა ლიგის ფინალში 1998 წელსაც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს – მაშინ ამსტერდამში მადრიდელებმა 1:0 მოიგეს. „იუვეს“ ღირსებას იმ დღეს „სამეფო კლუბის“ მთავარი მწვრთნელი ზინედინ ზიდანი იცავდა. ჯამში „რეალს“ 11 ჩემპიონობა უმაგრებს ზურგს.

„იუვენტუსმა“ ტიტულის მოგება მხოლოდ ორჯერ – 1985 და 1996 წლებში მოახერხა, თუმცა, 6 ფინალი წააგო, რაც ყველა სხვა გუნდზე მაღალი მაჩვენებელია.

„იუვემ“ ფინალამდე მისვლა წაუგებლად მოახერხა: 9 გამარჯვება, 3 ფრე. ბოლოს ჩემპიონთა ლიგა წაგების გარეშე „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მოიგო (2008 წელს).

1992 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგა ჰქვია გათამაშებას, „რეალი“ და „იუვენტუსი“ ფინალში მეექვსედ გავიდნენ. ასეთივე მაჩვენებელი აქვს „მილანს“ – ეს კი რეკორდია.

აქამდე ჩემპიონთა ლიგაზე „რეალს“ ხუთიდან ყველა ფინალი აქვს მოგებული, ხოლო „იუვენტუსმა“ იმავე რაოდენობის ფინალებიდან მხოლოდ პირველი, 1996 წელს მოიგო ამსტერდამის „აიაქსთან“.

ფინალის გამოცდილება

„იუვენტუსი“

1972-1973: „აიაქსი“ – „იუვენტუსი“ 1:0,
1982-1983: „ჰამბურგი“ – „იუვენტუსი“ 1:0,
1984-1985: „იუვენტუსი“ – „ლივერპული“ 1:0,
1995-1996: „იუვენტუსი“ – „აიაქსი“ 1:1 (პენ: 4:2),
1996-1997: „დორტმუნდი“ – „იუვენტუსი“ 3:1,
1997-1998: „იუვენტუსი“ – „რეალი“ 0:1,
2002-2003: „იუვენტუსი“ – „მილანი“ 0:0 (პენ: 2:3),
2014-2015: „იუვენტუსი“ – „ბარსელონა“ 1:3.

2015 წელს „იუვენტუსმა“ მეექვსე ფინალი წააგო და ამ მხრივ რეკორდსმენი გახდა. ხუთჯერ აქვთ ფინალი წაგებული „ბაიერნსა“ და „ბენფიკას“.

ჯანლუიჯი ბუფონი დღევანდელი გუნდიდან ერთადერთია, რომელსაც 2003 წლის ფინალშიც უთამაშია.

ბუფონი, სტეფან ლიხშტაინერი, ლეონარდო ბონუჩი, ანდრეა ბარძალი და კლაუდიო მარკიზიო 2015 წელს ბერლინის ფინალშიც მოედანზე იყვნენ, სტეფანო სტურარო სათადარიგოთა სკამზე დარჩა, ხოლო ჯორჯო კიელინი ტრავმირებული გახლდათ.

სამი ხედირამ 2014 წელს „რეალის“ შემადგენლობაში მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის თასი, ხოლო მარიო მანჯუკიჩმა იგივე „ბაიერნის“ რიგებში გაახერხა (2013 წელს). ამ ორ ფეხბურთელს შანსი აქვს შეუერთდნენ კიდევ 13 მოთამაშეს, რომელთაც ჩემპიონთა ლიგა ორი სხვადასხვა გუნდის რიგებში აქვთ მოგებული.

მარიო მანჯუკიჩსა და ალვარო მორატას შანსი აქვთ ფინალში ორი სხვადასხვა გუნდის რიგებში გაიტანონ. იგივე რამ აქამდე ველიბორ ვასოვიჩმა („პარტიზანი“ 1966 და „აიაქსი“ 1969) და კრიშტიანუ რონალდუმ მოახერხეს („მანჩესტერი“ 2008 და „რეალი“ 2014).

„იუვენტუსს“ ასევე ოთხჯერ აქვს უეფას თასის ფინალში ნათამაშები და მათგან სამი ფინალი მოიგო (1977, 1990 და 1993 წლებში), ხოლო ერთი წააგო (1995 წელს), 1984 წელს კი თასების თასის ფინალში გაიმარჯვა.

„რეალი“

„რეალმა“ ჩემპიონთა ლიგის ფინალი 11-ჯერ მოიგო (რეკორდი) და მათ შორის ბოლო ხუთი ზედიზედ, მარცხი კი მხოლოდ სამჯერ განიცადა.

1955-1956: „რეალი“ – „რეიმსი“ 4:3,
1956-1957: „რეალი“ – „ფიორენტინა“ 2:0,
1957-1958: „რეალი“ – „მილანი“ 3:2 (დ.დ),
1958-1959: „რეალი“ – „რეიმსი“ 2:0,
1959-1960: „რეალი“ – „აინტრახტი“ 7:3,
1961-1962: „ბენფიკა“ – „რეალი“ 5:3,
1963-1964: „ინტერი“ – „“რეალი“ 3:1,
1965-1966: „რეალი“ – „პარტიზანი“ 2:1,
1980-1981: „ლივერპული“ – „რეალი“ 1:0,
1997-1998: „რეალი“ – „იუვენტუსი“ 1:0,
1999-2000: „რეალი“ – „ვალენსია“ 3:0,
2001-2002: „რეალი“ – „ლევერკუზენი“ 2:1,
2013-2014: „რეალი“ – „ატლეტიკო“ 4:1 (დ.დ),
2015-2016: „რეალი“ – „ატლეტიკო“ 1:1 (პენ: 5:3):

„რეალს“ შანსი აქვს გახდეს პირველი გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგას ზედიზედ ორჯერ მოიგებს. ბოლოს ასეთი შანსი „მანჩესტერს“ ჰქონდა, მაგრამ 2008 წელს გამარჯვებას 2009 წელს მარცხი მოჰყვა.

„მილანმა“ 1989 და 1990 წლებში ზედიზედ ორჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი და იმის შემდეგ ასეთი რამ ვერავინ გააკეთა.

ზინედინ ზიდანს აქვს შანსი გახდეს პირველი მწვრთნელი, ვინც ზედიზედ ორჯერ მოიგებს მწვრთნელის რანგში ჩემპიონთა ლიგას, ხოლო სერხიო რამოსს იგივეს გაკეთების შესაძლებლობა კაპიტნის რანგში აქვს.

კრიშტიანუ რონალდუსა (2008, 2014) და სერხიო რამოსს (2014, 2016) შანსი აქვთ გახდნენ პირველი ფეხბურთელები, რომლებიც გოლს სამ ფინალში გაიტანენ. აქამდე ორ ფინალში თავის გამოჩენა მათ გარდა კიდევ სამმა ფეხბურთელმა მოახერხა: რაული (2000, 2002), სამუელ ეტო'ო (2006, 2009) და ლიონელ მესი (2009, 2011).

დანი კარვახალს, რაფაელ ვარანს, სერხიო რამოსს, ფაბიო კოენტრაოს, ლუკა მოდრიჩს, კრიშტიანუ რონალდუსა და ქარიმ ბენზემას 2014 წლის ფინალში აქვთ ნათამაშევი, მარსელო და ისკო შეცვლაზე შევიდნენ. პეპე თადარიგში დარჩა, ხოლო შარშანდელ ფინალში ძირითადში კეილორ ნავასი, პეპე, კაზემირო, კარვახალი, მარსელო, ბეილი, ტონი კროოსი, რონალდუ, მოდრიჩი და ბენზემა იყვნენ, დანილო, ლუკას ვასკესი და ისკო შეცვლაზე შევიდნენ, კასილია, ნაჩო და ხამესი თადარიგში დარჩნენ.



თუ „რეალი“ ფინალში მოიგებს, ეს იქნება ესპანური გუნდებისთვის მეათე გამარჯვება ჩემპიონთა ლიგაზე (1992 წლიდან). მასთან ყველაზე ახლოს იტალიაა – 5 ტიტული.

„რეალი“ ევროტურნირებზე 29-ე ფინალის სათამაშოდ ემზადება (ყველა ტურნირის ჩათვლით).

ურთიერთშეხვედრები

„იუვენტუსისა“ და „რეალის“ ურთიერთშეხვედრებში სრული თანაფარდობაა: 8-8 მოგება/წაგება და 2 ფრე. ბურთების ბალანსი იტალიელთა მხარესაა: 21:18.

ბოლოს ეს ორი გრანდი ერთმანეთს 2014-2015 წლების სეზონში ნახევარფინალში შეხვდნენ. მაშინ ტურინელებმა ორი მატჩის ჯამში 3:2 მოიგეს და ფინალში გავიდნენ.

იტალიაში ალვარო მორატამ, კრიშტიანუ რონალდუმ და კარლოს ტევესმა გაიტანეს.

2015 წლის 5 მაისს ტურინში გუნდებმა შემდეგი შემადგენლობით ითამაშეს:

„იუვენტუსი“: ბუფონი, ლიხშტაინერი, ბონუჩი, კიელინი, ევრა, სტურარო (ბარძალი 64), მარკიზიო, პირლო, ვიდალი, მორატა (ლორენტე 78), ტევესი (პერეირა 86)

„რეალი“: კასილიასი, კარვახალი, ვარანი, რამოსი, პეპე, მარსელო, კროოსი, ისკო (ჩიჩარიტო 63), ხამესი, ბეილი (ხესე 86), რონალდუ

მადრიდული მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. რონალდუს გოლს მორატამ უპასუხა.

2015 წლის 13 მაისს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შემდეგმა ფეხბურთელებმა ითამაშეს:

„რეალი“: კასილიასი, კარვახალი, ვარანი, რამოსი, მარსელო, კროოსი, ისკო, ხამესი, ბეილი, ბენზემა (ჩიჩარიტო 67), რონალდუ

„იუვენტუსი“: ბუფონი, ლიხშტაინერი, ბონუჩი, კიელინი, ევრა, მარკიზიო, პირლო (ბარძალი 79), ვიდალი, პოგბა (პერეირა 89), მორატა (ლორენტე 84), ტევესი

„იუვენტუსს“ „რეალთან“ ბოლო სამი თამაში წაგებული არ აქვს: 1 მოგება, 2 ფრე. ბოლოს ესპანელებმა 2013 წელს მადრიდში მოიგეს რონალდუს დუბლით – 2:1. ეს იყო „ბებერი ქალბატონის“ ერთადერთი მარცხი „რეალთან“ ბოლო 7 მატჩში (4 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება).

„რეალმა“ „იუვენტუსს“ ბოლო ოთხ მატჩში 5 გოლი გაუტანა და აქედან ოთხი კრიშტიანუს ანგარიშზეა.

1998 წელს ფინალი ესპანურმა გრანდმა მოიგო პრედრაგ მიატოვიჩის გოლით.

1998 წლის 20 მაისს ამსტერდამში გუნდებმა შემდეგი შემადგენლობით ითამაშეს:

„იუვენტუსი“: პერუცი, პესოტო (ფონსეკა 70), ტორიჩელი, მონტერო, იულიანო, დი ლივიო (ტაკინარდი 46), დეშამი (კონტე 77), დავიდსი, ზიდანი, დელ პიერო, ინძაგი

„რეალი“: ილგნერი, პანუჩი, იერო, სანჩისი, რობერტო კარლოსი, რედონდო, კარამბე, ზეედორფი, რაული (ამავისკა 90), მორიენტესი (სანჩესი 81), მიატოვიჩი (შუკერი 90).

ეს არ ყოფილა ერთადერთი მატჩი, რომელშიც გუნდები ნეიტრალურ მოედანზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. 1961-1962 წლების სეზონში პარიზში „რეალმა“ 3:1 მოიგო.

სტატიტიკა

„იუვენტუსი“

„მონაკოსთან“ ნახევარფინალში „იუვემ“ პირველი გოლი გაუშვა პლეი-ოფში, მთელ ტურნირზე კი - მესამე. ტურინელებს გოლი ზედიზედ 690 წუთი ვერავინ გაუტანა. ამაზე უკეთესი მშრალი სერია მხოლოდ „არსენალს“ ჰქონია (995 წუთი).

„იუვენტუსს“ ესპანური გუნდების წინააღმდეგ 53-ჯერ აქვს ნათამაშევი უეფას ტურნირებში. ბალანსი ასეთია: 19 მოგება, 14 ფრე და 20 წაგება. ბურთების ბალანსი: 61:55.

„ბებერი ქალბატონი“ მიმდინარე სეზონში ორ ესპანურ კლუბს უკვე ეთამაშა: „სევილია“ (0:0, 3:1) და „ბარსელონა“ (3:0, 0:0).

პირველი ესპანური კლუბის წინააღმდეგ ჩატარებული ფინალი კი 1977 წელს იყო უეფას თასზე: ბილბაოს „ატლეტიკთან“ იტალიელებმა ორი მატჩის ჯამში გაიმარჯვეს.

„იუვენტუსი“ პენალტების სერიაში: 3 მოგება, 3 წაგება

2002-2003: ჩემპიონთა ლიგა, ფინალი, „მილანი“ 2:3.
1995-1996: ჩემპიონთა ლიგა, ფინალი, „აიაქსი“ 4:2.
1986-1987: ჩემპიონთა თასი, მეორე ეტაპი, „რეალი“ 1:3.
1985: საკონტინენტთაშორისო თასი, ფინალი, „არხენტინოს ხუნიორსი“ 4:2.
1980-1981: უეფას თასი, მეორე ეტაპი, „ვიძევი“ 1:4.
1977-1978: ჩემპიონთა თასი, მეოთხედფინალი, „აიაქსი“ 3:0.

„რეალი“

„რეალმა“ მიმდინარე გათამაშებაში პირველად „ატლეტიკოსთან“ წააგო (1:2). მანამდე ბალანსი ასეთი იყო: 8 მოგება, 3 ფრე. ამასთან, პლეი-ოფში ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგო.

„სამეფო კლუბმა“ სანამ „როხიბლანკოსთან“ წააგო, მანამდე 16-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა (11 მოგება, 5 ფრე).

„რეალს“ იტალიურ გუნდებთან ბოლო ოთხი თამაში მოგებული აქვს – „რომასთან“ და „ნაპოლისთან“. ბოლოს სწორედ „იუვენტუსი“ იყო ის იტალიური კლუბი, რომელმაც „რეალთან“ არ წააგო.

მადრიდელები იტალიელთა წინააღმდეგ შემდეგნაირად თამაშობენ: 69 მატჩი, 33 მოგება, 11 ფრე, 25 წაგება, ბურთების ბალანსი 104: 87.

„რეალი“ პენალტების სერიაში: 2 მოგება, 2 წაგება.

2015-2016: ჩემპიონთა ლიგა, ფინალი, „ატლეტიკო“ 5:3.
2011-2012: ჩემპიონთა ლიგა, ნახევარფინალი, „ბაიერნი“ 1:3.
1986-1987: ჩემპიონთა თასი, მეორე ეტაპი, „იუვენტუსი“ 3:1.
1974-1975: თასების თასი, მეოთხედფინალი, „ცრვენა ზვეზდა“, 5:6.

გზაჯვარედინი: მწვრთნელები და ფეხბურთელები

ზინედინ ზიდანი „იუვენტუსში“ 1996-2001 წლებში თამაშობდა და ორჯერ ჩემპიონთა ლიგის ფინალი წააგო (1997 და 1998 წლებში).

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ზიდანმა ჯანლუიჯი ბუფონს პენალტი გაუტანა, თუმცა, შემდეგ წითელი ბარათი მიიღო, მსოფლიო თასი კი იტალიამ და ბუფონმა აღმართეს.

მასიმილიანო ალეგრი „მილანის“ თავკაცის რანგში „რეალთან“ 2010-2011 წლების სეზონში 0:2 დამარცხდა. მაშინ რონალდუმ დუბლი შეასრულა, ხოლო მეორე თამაში „სან სიროზე“ 2:2 დასრულდა.

გონსალო იგუაინი „რეალში“ 2007-2013 წლებში გამოდიოდა. „პიპიტამ“ „ბლანკოსის“ მაისურით 264 მატჩში 121 გოლის გატანა შეძლო და სამჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი.

ალვარო მორატა „რეალის“ აკადემიის აღზრდილია, ხოლო „იუვენტუსში“ 2014-2016 წლებში თამაშობდა. მხოლოდ იტალიის ჩემპიონატის ეგიდით მან 63 თამაშში 15 გოლი გაიტანა ტურინელთა შემადგენლობაში.

სამი ხედირა „რეალში“ 2010-2015 წლებში თამაშობდა, სადაც 2014 წელს ჩემპიონთა ლიგა, ხოლო ორი წლით ადრე პრიმერადივიზიონი მოიგო. ლა ლიგაში მან 102 მატჩში ექვსი გოლი გაიტანა.

მარიო მანჯუკიჩი „ატლეტიკოში“ ასპარეზობისას „რეალს“ შვიდჯერ დაუპირისპირდა (4 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება), 2015 წლის 7 თებერვალს კი 4:0 მოგებულ მატჩში გოლიც გაიტანა ისევე, როგორც ესპანეთის სუპერთასზე (2:1).

დანი ალვეში ესპანეთში 14 წელი თამაშობდა – ბრაზილიელის ბალანსი „რეალთან“ ასეთია: 22 მოგება, 7 ფრე, 13 წაგება (ორი გატანილი გოლი). სერხიო რამოსი „სევილიაში“ 2003-2005 წლებში ირჯებოდა და ისინი თანაგუნდელები იყვნენ.

მატეო კოვაჩიჩი „ინტერის“ რიგებში „იუვენტუსს“ ხუთჯერ დაუპირისპირდა: 0 მოგება, 2 ფრე, 3 წაგება.

ბუფონი, ბარძალი, ბონუჩი, კიელინი და მარკიზიო მოედანზე იყვნენ ევრო 2012-ის ფინალში ესპანეთის წინააღმდეგ. „ფურია როხას“ ღირსებას იმ დღეს რამოსი იცავდა.

კროოსი და ხედირა ბუფონს, ბარძალის, ბონუჩისა და კიელინის ევრო 2016-ზე დაუპირისპირდნენ გერმანიის ნაკრების რიგებში. ბონუჩიმ გოლიც გაიტანა, თუმცა, პენალტების სერიაში იგივე ვერ გააკეთა. პენალტები ზუსტად დაარტყეს ბარძალიმ და კროოსმა.

იმავე ჩემპიონატის მერვედფინალში კიელინიმ ესპანეთის ნაკრებს გაუტანა. ბუფონი, კიელინი, ბარძალი და ბონუჩი მაშინ რამოსს, მორატასა და ლუკას ვასკესს დაუპირისპირდნენ.

რამოსმა პენალტი გაუტანა ბუფონს 2013 წლის კონფედერაციათა თასის ნახევარფინალში,ბონუჩიმ კი კარს ააცილა.

ბენზემამ გააცუდა პენალტი ლიხშტაინერის შვეიცაარის ნაკრებთან თამაშისს 2014 წლის მუნდიალის ჯგუფურ ეტაპზე. მატჩი ფრანგებმა 5:2 მოიგეს.

ევრო 2016-ზე მორატამ ხორვატეთს გოლი გაუტანა, ხოლო რამოსმა პენალტი გააცუდა. ხორვატთა რიგებში სკამზე დარჩნენ მოდრიჩი და მანჯუკიჩი, მარკო პიაცა და მატეო კოვაჩიჩი კი მოედანზე იყვნენ.

თანაგუნდელები ეროვნულ ნაკრებებში:

ტონი კროოსი და სამი ხედირა (გერმანია),

მარსელო, დანილო, კაზემირო და დანი ალვეში, ალექს სანდრო (ბრაზილია),

ხამეს როდრიგესი და ხუან კუადრადო (კოლუმბია),

მატეო კოვაჩიჩი, ლუკა მოდრიჩი და მარიო მანჯუკიჩი, მარკო პიაცა (ხორვატეთი),

ყოფილი თანაკლუბელები:

დანილო, ხამეს როდრიგესი და ალექს სანდრო („პორტუ“ 2011-2013),

დანილო და ალექს სანდრო („სანტოსი“ 2010-2011),

ტონი კროოსი და მარიო მანჯუკიჩი („ბაიერნი“ 2012-2014),

მარიო მანჯუკიჩი და ლუკა მოდრიჩი („დინამო“ ზაგრები 2007-2008),

ქარიმ ბენზემა და მირალემ პიანიჩი („ლიონი“ 2008-2009),

დანი ალვეში და სერხიო რამოსი („სევილია“ 2003-2005).

გიორგი ზოთაძე

ხსოვნა

როლანდ ახვლედიანი

კიდევ ერთი ნაღდი ქართველი, თბილისელი, სამეგობროსთვის თავდადებული, ერთგული მეოჯახე კაცი დააკლდა უდროოდ ჩვენს რიგებს. უდროოდ ვამბობთ, რადგან ყველაფერი განგების ნებაა, მაგრამ იგი ხომ 70-ე შემოდგომას ვეღარ დაესწრო. ასეთი ალალი ადამიანის წასვლა მართლაც დიდი ტკივილია არა მარტო მისი ოჯახისთვის, ნათესავებისთვის, არამედ განსაკუთრებულად ჩვენთვისაც, რადგან როლანდ ახვლედიანი ხომ ჩვენი დიდი ოჯახის ერთ-ერთი გამორჩეული, მეგობრისთვის თავგადაკლული, ტრადიციებისა და ქალაქური წესის დამცველი და ყოველი ჩვენგანის გვერდში მყოფი იყო.

გვიმძიმს მასზე წარსულში საუბარი, კაცი იმით ფასობს, რას იტყვიან მომავალში. გწამდეს ძმაო, რომ შენს სამეგობროს მუდამ ემახსოვრები ლაღი, კეთილი, ვაჟკაცი და მომღიმარი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

უახლოესი მეგობრები

ზაქრო ავალიშვილი, ვახტანგ ვეფხვაძე, ოთარ ბრეგვაძე, ომარ ოსიყმაშვილი, გურამ ახრახაძე, რეზო შულლიაშვილი, თემურ გოგიშერიძე, ზურა ჯიბუტი, თამაზ კუჭავა, ალიკო ოღლიშვილი, თამაზ დაუშვილი, ჯიმი ბროქელი, თამაზ გელაშვილი, ზურა ჯორჯაძე, ზაურ კვირკველია, ბადრი ნათოშაძე, ცქიტო ჯღარკავა, ლაური ჯანაშია, ელიზბარ ლომინაძე, თენგიზ კალანდაძე, თენგიზ ქოიავა, კოკი კეკელიძე, სოსო მაჭარაშვილი,გურამ საღარაძე, აჩიკო გოგელია, მურიკო თოფურიძე, ბორია ლეკიშვილი.

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი გულით თანაუგრძნობენ ბატონ გურამ ქაშაკაშვილს მეუღლის, ქალბატონ

ლეილა სულაკაძე-ქაშაკაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, თენგიზ კალანდაძე, პეტრე ბერაია, ელიზბარ ლომინაძე, მელორ ტყეშელაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ გურამ ქაშაკაშვილის მეუღლის

ლეილა რაჟდენის ასული სულაკაძე-ქაშაკაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ დედაქალაქის პრობლემები

ბოშების „დესანტი“ ვიწრო კიბეზე

თბილისელებს კარგად გვახსოვს, თუ როგორი კმაყოფილებით შეხვდა საზოგადოება მერიის გადაწყვეტილებას დედაქალაქის ხალხმრავალი ადგილებიდან, მათ შორის აგრარული ბაზრების, ავტობუსებისა და სარკინიგზო, ასევე მეტროს სადგურების მიმდებარე ტერიტორიებიდან გარემოვაჭრეებისგან მოცილების თაობაზე.

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სიხარული არც მაინცდამაინც „დღეგრძელი“ გამოდგა – ზოგიერთ, ასე ვთქვათ, „ჩვეულ“ ადგილებში, კანტიკუნტად უკვე გამოჩნდნენ ყველაზე მოუსვენარი და რისკიანი გარემოვაჭრეები, ისე კი, თბილისში, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქში, არის მოქალაქეთა გარკვეული, ერთგარად „ველური“ კატეგორია, რომელიც კანონის დაცვას არად დაგიდევთ. ჩვენში ერთი ასეთი „აუღებელი კასტაა“ ბოშები, რომელთა ძირითადი საქმიანობა – მათხოვრობა და მარჩიელობა, ბოლო წლებში კაცმა არ იცის, საიდან მიღებული სხვადასხვა სახეობის იაფფასიანი საქონლით ვაჭრობა გახდა.

აი, ახლაც, ბოშებმა ერთიანად შეუტიეს მეტროს სადგურ „ღრმაღელესთან“ ვიწრო კიბეს, რომელზეც ამსვლელ-ჩამსვლელს ელემენტარულად გავლა უჭირს. კიბის ორივე მხარეს ერთმანეთის მხარიმხარ „კედლად“ დამდგარი ბოშები თავისას „მიერეკებიან“, მერიის უსაფრთხოების სამსახურის უსაქმური თანამშრომლები კი, როგორც ჩანს, მარტო მსუყე ხელფასების მოლოდინით არიან დაკავებულნი.

ლალი ხუნდაძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

უკანონო სახერხი საამქროები

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა უკანონოდ მოქმედი სახერხი საამქრო და რეგისტრირებულ სახერხ საამქროებში არსებული სამართალდარღვევის ფაქტები გამოავლინეს.

ლიკანში, მოქალაქე პ.კ-ს მოწყობილი ჰქონდა სახერხი საამქრო, რომელიც არ არის რეგისტრირებული მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში. საამქროში განთავსებული იყო ნახევრად გადამუშავებული მრგვალი მორი.

სახერხი საამქრო დაილუქა, შედგა შესაბამისი აქტი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებში - უდესა და ზარზამაში, ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მიტარბში კი, ინდ. მეწარმეების ე.შ-სა და ლ.მ-ს კუთვნილ, მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ სახერხ საამქროებში უკანონოდ მოპოვებული მრგვალი მორი დაფიქსირდა.

კიდევ ერთი ინდ. მეწარმის - მ.კ-ს სახელზე რეგისტრირებული სახერხი სამქროს შემთხვევაში კი, დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დალუქულ სახერხ დანადგარზე ლუქი გაწყვეტილი და დაზიანებული აღმოჩნდა.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით შესაბამისი აქტები შედგა.

სანთელი

მეუღლე ალეკო კურცხალია, შვილები გიორგი, დავითი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დიანა შოთას ასული კობახიძე-კურცხალია

პანაშვიდი: 2 VI; გამოსვენება 3 VI, 15 სთ. მისამართი: ფალიაშვილის №9.

გურამ და ზურაბ ტყემალაძეები, თამაზ გონგაძე, ნიკოლოზ ნემსაძე, ელგუჯა შაფაქიძე, ზურაბ მირიჯანაშვილი, ომარ კაჭარავა, თამაზ ქვლივიძე და ანტონ ლეჟავა ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ სიყრმის მეგობარს ალექსანდრე კურცხალიას და მის დიდ ოჯახს შესანიშნავი პიროვნების, უცხო ენების ცნობილი სპეციალისტის, ბუნებით ბრწყინვალე ადამიანის და ხელოვანის

დიანა კობახიძე-კურცხალიას

გარდაცვალების გამო.

მამიდაშვილი ნათელა ვაჩნაძე, ერეკლე, ირინე, მარიამ ჟორდანიები, ნიკოლოზ სიხარულიძე, ლალი შილაკაძე-ჟორდანია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დიანა შოთას ასული კობახიძე-კურცხალია

ბიძაშვილები გულიკო, მედეა ჩაფიძეები, ეთერ ნიკოლაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დიანა შოთას ასული კობახიძე-კურცხალია

საქართველოს პარლამენტის მე-5, 6, 8 და მე-9 მოწვევის, ფრაქცია მრეწველების წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან და თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ალეკო კურცხალიას მეუღლის

დიანა კობახიძე-კურცხალიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

გეო ჰოლდინგი
გადავიხდით თქვენს კრედიტს საქართველოს ნებისმიერ ბანკში.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:
ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323; 557 575 811
geo-holding.net
სამუშაო საათები:
ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20.00 სთ-მდე
შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

◎ ვერნისაჟი

კავკასიური ხედვით შეკრული დასავლეთი და აღმოსავლეთი

შუა საუკუნეების ევროპული რენესანსი და ამავე პერიოდის წინა აზიის ხელოვნება, — აი, იმ ნამუშევართა ძირითადი თემები, რომლებითაც ამ დღეებში საზოგადოების წინაშე მხატვარი სოფიო ვარაზი წარსდგება, რომლის რიგით მეხუთე პერსონალური გამოფენა გუშინ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში გაიხსნა.



ვერნისაჟის საზეიმო გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო, მათ შორის, სახვითი ხელოვნების მრავალი სახელოვანი წარმომადგენელი, საზოგადოების ცნობილი სახე.

ქალბატონი სოფიო ვარაზი, ასე ვთქვათ, „ვიწრო სახელოვნებო სპეციალიზაციით“ კოსტიუმის მხატვარი გახლავთ, თუმცა კი დღემდე სახვითი ხელოვნების მრავალ მიმართულებაში მოსინჯა ძალები. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად შემოქმედს ირანული მინიატიურის ჯადოსნური სამყარო უფრო იზიდავს და ეს სიყვარული ლაიტმოტივად გასდევს მთელ გამოფენას. მხატვრის ამ

გატაცების უტყუარი მოწმობა ისიცაა, რომ 2013 წელს სოფიო ვარაზმა მონაწილეობა მიიღო ინგლისის, ირანისა და საქართველოს ერთობლივ პროექტში — მან სპარსული შუასაუკუნეების პოეზიის კრებული „აღმოსავლეთის ხიბლი“ დაასურათა.

გამოფენა, რომელზეც სოფიო ვარაზის 2014-2017 წლებში შექმნილი ნამუშევრებია წარმოდგენილი, 10 ივნისამდე გაგრძელდება.

ნინო ალექსანდრია
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

არმაზის ხევში უძველესი ხანის ნამოსახლარი აღმოაჩინეს

არმაზის ხევის პიტიახშთა რეზიდენციის კომპლექსის რებილიტაციის პროექტის ფარგლებში, გათხრების შედეგად, უძველესი ხანის ნამოსახლარი გამოვლინდა. არქეოლოგიური ნაკრძალის ტერიტორიაზე ადრე გათხრილი ობიექტების ნაწილის გამოვლენა-გასუფთავებამ ამ ეპოქის ნამოსახლარის მძლავრი კედელი უკვე საბოლოო სახით გამოკვეთა. არსებული ვარაუდით, ობიექტი ძვ. წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეების ნამოსახლარია. არქეოლოგიური სამუშაოები არმაზის ტერიტორიაზე სამი წლის განმავლობაში, 2014 წლიდან მიმდინარეობს. ასევე, გამოვლენილია ახ. წელთაღრიცხვის II-III საუკუნეების პიტიახშთა სასახლის დასავლეთი ნაწილის მინაშენებიც.

უკანასკნელი წლების არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, გათხრილია ახ. წელთაღრიცხვის IX-XII საუკუნეების საცხოვრებელი კომპლექსის კიდევ ერთი მონაკვეთი. მიკვლეულია ასევე ქვის ხანის უძველესი კულტურული ფენები და XX საუკუნის 30-იან წლებში წარმოებული არქეოლოგიის შედეგად გამოვლენილი ობსიდიანის დასამუშავებელი სახელოსნოს მცირე ნაშთებიც.

არმაზისხევის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე პირველადი არქეოლოგია 1937-1946 წლებში ჩატარდა. გაითხარა II-IX სს-ის სამაროვანი, აბანო, ზღურბლიანი ნაგებობა, ერთსენაკიანი და ორსენაკიანი ნაგებობები და მარანი. გაითხარა ასევე 144 სამარხი, რომელთა შორის უმეტესობას ორმო-სამარხები წარმოადგენს. გაითხარა ახ.წ. ერისთავთა II-IV საუკუნეების სამარხები, სადაც ოქროს ნივთები და რომაული ოქროს მონეტები აღმოჩნდა. არმაზის ერისთავთა სამარხებთან რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლია დაკავშირებული:

არმაზისხევის უბნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. მტკვრის მეორე ტერასის კიდეზე გამოვლინდა II-III საუკუნის რომაული ტიპის სამგანყოფილებიანი აბანოს ნანგრევები. არქეოლოგიურ კომპლექსზე გასულ საუკუნეში წარმოებულ გათხრებს უკავშირდება აღმოჩენილი მარანი 55 ქვევრით.

არმაზის ხევის არქეოლოგიური ობიექტები ამჟამად შემოზღუდულია და საველე მუზეუმად ერთიანდება.

არმაზში კვლევებს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საგენტოს დაკვეთით, ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია ახორციელებს.

ნეანდერტალელთა მარცხის მიზეზი

ევოლუციის გრძელ გზაზე ადამიანთა მოდგმას განშტოება ჰქონდა, რომელსაც ნეანდერტალური ეწოდება. აღსანიშნავია, რომ ანთროპოლოგიური მონაცემებით, ნეანდერტალელები თანამედროვე ადამიანებს ბევრად ჯაბნიდნენ.

მათი ჩონჩხის ძვლებით თუ ვიმსჯელებთ, ისინი ჩაფსკვნილი, მძლავრი აღნაგობისანი უნდა ყოფილიყვნენ. ამ „ნავარჯიშევმა“ არსებებმა ევროპაში 300 ათასი წლის წინათ დაიდეს ბინა, აფრიკიდან წამოსული ჩვენი უშუალო წინაპრები კრომანიონელები კი კონტინენტის ავანსცენაზე პირ-

ველად 40-50 წლის წინათ გამოჩნდნენ. მაგრამ, **გასაოცარი ისაა, რომ თანაარსებობის 20 ათასი წლის მანძილზე მათ ევროპიდან სრულად განდევნეს თავიანთი ფიზიკურად გაცილებით უფრო ძლიერი მეტოქეები.**

საინტერესოა, მაინც როგორ შეძლეს ამ სუსტმა არსებებმა ესოდენ შთამბეჭდავი წარმატების მოპოვება?

დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა, რომ ამის გაკეთება კრომანიონელებმა იმიტომ შეძლეს, რომ ნეანდერტალელებზე გაცილებით გონიერები იყვნენ. მაგრამ, ახალი ინგლისის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ეს შეხედულება უარყვეს.

მაინც როგორღა მოხდა, რომ კრომანიონელებმა „ევროპის კომფორტული ბინიდან“ „მხეცი“ ნეანდერტალელების „გაყვანა“ შეძლეს? მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ამაში მათ ენერგიის ხარჯვის თვალსაზრისით უფრო ეკონომიური კონსტრუქცია დაეხმარათ. დიდი ფიზიკური ძალის მქონე ნეანდერტალელებს დღე-ღამეში 200-300 კილოკალორიით მეტის ხარჯვა უწევდათ, ვიდრე ჩვენს წინაპრებს. შესაბამისად, მწირი საკვები რესურსების არსებობის პირობებში, კრომანიონელებს ნეანდერტალელებზე უფრო მრავალრიცხოვანი შთამომავლობის გამოკვება შეეძლოთ, ამდენად მათ კონკურენტებს ნაყოფიერებით აჯობეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4181; ევრო - 2.7104;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1070;
100 რუბლი - 4.2638; თურქული ლირა - 0.6847;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4329;
1000 სომხური დრამი - 5.0155.

ამინდი 2 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10 დღე +27
მთიანი რაიონები - ღამე +6, დღე +23
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10, დღე +23
მთიანი რაიონები - ღამე +8, დღე +20
თბილისი: ღამე +15, დღე +25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge